სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

2025 წლის საქმიანობის ანგარიში

თბილისი

2026

სარჩევი

შესავალი 4
1. სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი მაჩვენებლები 6
1.1 გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა და ტიპები 6
1.2 სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ღირებულება და ტენდერების სტატუსები 8
1.3 ეკონომია და პრეტენდენტების რაოდენობა ტენდერებში 17
1.4 სისტემაში რეგისტრირებული მომხმარებლები და შესყიდვებში გამარჯვებული მიმწოდებლები 25
1.5 შესყიდვები დონორის სახსრებით - DEP ტენდერები 30
2. სამართლებრივი ბაზის სრულყოფა 32
3. ცენტრალიზებული შესყიდვები 41
4. გამარტივებული შესყიდვები 46
5. „თეთრი სიის“ წარმოება 49
6. „შავი სიის“ წარმოება 50
7. ადმინისტრაციული სამართალდარღვევები და სასამართლო დავები 51
8. სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების მონიტორინგი 53
9. ადამიანური რესურსების განვითარება 54
10. მომხმარებლებთან საქმიანი კომუნიკაცია 56
11. საერთაშორისო ურთიერთობები 58
12. საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა 62

”

დაინერგა ახალი პლატფორმები, იმისათვის, რომ სრულიად გამჭვირვალე გამხდარიყო სახელმწიფო შესყიდვები, უკვე შედეგიც სახეზეა - არსებითად გაზრდილია ინტერესი კერძო კომპანიების მხრიდან, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო შესყიდვებში...

ირაკლი კობახიძე

შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს 2025 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მიმდინარე პროცესების, განხორციელებული რეფორმებისა და მიღწეული შედეგების კომპლექსურ ანალიზს. საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით გამოცხადდა 27,796 ღია ელექტრონული ტენდერი, ხოლო საბოლოო სტატუსი მიენიჭა 26,441 ტენდერს. აქედან 20,202 შემთხვევაში გაფორმდა ხელშეკრულება, რაც შემდგარი ტენდერების 76%-ს შეადგენს. ყოველივე ეს მიუთითებს სისტემის მაღალ ეფექტიანობასა და სტაბილურ ფუნქციონირებაზე.

2025 წელს სახელმწიფო შესყიდვების ჯამურმა ღირებულებამ 6,380,651,379 ლარი შეადგინა. აქედან, 4,547,554,328 ლარის (71.25%) შესყიდვა განხორციელდა ღია ელექტრონული პროცედურების/ტენდერების საშუალებით, 718,988,460 ლარი (11.25%) ღია ელექტრონული კონსოლიდირებული (ცენტრალიზებული შესყიდვების) ტენდერებით, ხოლო 1,114,108,591 ლარი (17.5%) გამარტივებული შესყიდვების მეშვეობით განხორციელდა (რომლებიც აგრეთვე ასახულია ელექტრონულ სისტემაში).

აღსანიშნავია, რომ შემცირებულია გამარტივებული შესყიდვების ჯამური მოცულობა წინა წელთან შედარებით 1,182,743,811 ლარიდან 1,114,108,591 ლარამდე, რაც დაახლოებით 5.8%-იანი კლებაა და მთლიანი სახელმწიფო შესყიდვების 17.5%-ს შეადგენს.

„ ...მოგეხსენებათ, რომ კორუფციის პრევენციისა და არასწორი პრაქტიკის პრევენციის მიზნით შარშან დაგვჭირდა მთელი რიგი ინფრასტრუქტურული პროექტების შეჩერება. შედეგად, შარშან დაუხარჯავი დარჩა დაახლოებით 400 მილიონი ლარი, რომელიც სამინისტროს წლევანდელ ბიუჯეტზე გადმოვიდა... “

საქართველოს პრემიერმინისტრის, ბატონი ირაკლი კობახიძის 2026 წლის 8 აპრილის საქართველოს მთავრობის სხდომაზე გამოსვლიდან

ცენტრალიზებული შესყიდვების მიმართულებით 2025 წელს გამოცხადდა 714 კონსოლიდირებული ელექტრონული ტენდერი, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ 718,988,460 ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით დაახლოებით 17.8%-ით ზრდას წარმოადგენს. ამავე კატეგორიაში მიღწეულმა ეკონომიამ დაახლოებით 27

მილიონ ლარს მიაღწია, ხოლო საცალო და საბითუმო ფასებთან შედარებით დანაზოგმა 339 მილიონ ლარს გადააჭარბა, რაც ცენტრალიზებული შესყიდვების შედეგად მიღებულ მასშტაბურ ეკონომიაზე და ამ მიდგომების ეფექტიან გამოყენებაზე მიუთითებს.

სისტემის ეფექტიანობას ადასტურებს ეკონომიის მაჩვენებლებიც. საანგარიშო პერიოდში სავარაუდო და სახელშეკრულებო ღირებულებებს შორის სხვაობამ 393,838,912 ლარი (9.1%) შეადგინა, ხოლო ელექტრონული სისტემის დანერგვიდან 2025 წლის ჩათვლით, ეკონომიამ 5 მილიარდ ლარს გადააჭარბა. აღნიშნული შედეგები მიუთითებს კონკურენტული გარემოს არსებობასა და საბიუჯეტო რესურსების ოპტიმიზაციის მაღალ ხარისხზე.

მნიშვნელოვანი პროგრესი დაფიქსირდა ბაზრის მონაწილეთა აქტივობის მიმართულებითაც. 2025 წელს პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა გაიზარდა 2.02-დან 2.22-მდე, რაც კონკურენციის ზრდის პირდაპირი მაჩვენებელია. ამავე პერიოდში სისტემაში დარეგისტრირდა 3,104 ახალი ბიზნეს სუბიექტი, ხოლო მიმწოდებელთა საერთო რაოდენობამ 2025 წლის ბოლოსთვის 62,579 შეადგინა, მათ შორის, 2,787 არარეზიდენტი მიმწოდებელია 85 ქვეყნიდან.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რისკებზე დაფუძნებული მონიტორინგის სისტემის გამოყენებასა და ელექტრონული სისტემების ეფექტიან ფუნქციონირებას, რამაც უზრუნველყო შესაძლო დარღვევების დროული იდენტიფიცირება და შესაძლო რისკების პრევენცია. ამასთან, სააგენტოს აქტიურმა ჩართულობამ სამართლებრივ დავებსა და სასამართლო პროცესებში მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებასა და მოქმედი კანონმდებლობის ეფექტიან აღსრულებას.

ანგარიშში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ინსტიტუციური განვითარების საკითხებს. 2025 წელს ჩატარებული ტრენინგების ფარგლებში გადამზადდა 341 მსმენელი, ხოლო 2014-2025 წლებში მათი საერთო რაოდენობა 7,705-ს აღწევს. აღნიშნული მონაცემები ცხადყოფს სისტემის პროფესიონალიზაციისა და ადამიანური კაპიტალის განვითარების მნიშვნელოვან დინამიკას.

2025 წლის მონაცემები ცხადად ადასტურებს, რომ საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების ეკოსისტემა წარმოადგენს სტაბილურ, ეფექტიან და განვითარებაზე ორიენტირებულ ინსტიტუციურ მექანიზმს, გამყარებულს თანამედროვე IT-ტექნოლოგიებით. მიღწეული შედეგები და განხორციელებული რეფორმები ქმნის მყარ საფუძველს სისტემის შემდგომი განვითარებისთვის, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს საჯარო ფინანსების ეფექტიან მართვას, კონკურენტული გარემოს გაძლიერებასა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას.

1. სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი მაჩვენებლები

1.1 გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა და ტიპები

2025 წელს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (შემდეგ: eProcurement სისტემა ან ელ.სისტემა) მეშვეობით გამოცხადდა 27,796 ღია ელექტრონული ტენდერი.

დიაგრამა N1: 2025 წელს გამოცხადებული ელექტრონული შესყიდვების პროცედურების რაოდენობა შესყიდვის ტიპების მიხედვით



ისევე როგორც 2024 წელს, ანალოგიური ტენდენცია შეინიშნებოდა 2025 წელსაც, როდესაც ყველაზე მეტი ტენდერი ნოემბერ-დეკემბრის პერიოდში გამოცხადდა. აღნიშნული გარემოება, როგორც წესი, დაკავშირებულია იმასთან, რომ შემსყიდველი ორგანიზაციები ცდილობენ მომდევნო წლისთვის დაგეგმილი შესყიდვების განხორციელება წინასწარ და დროულად უზრუნველყონ.

დიაგრამა N2: 2024 წელს გამოცხადებული ტენდერების განაწილება თვეების მიხედვით



დიაგრამა N3: 2025 წელს გამოცხადებული ტენდერების განაწილება თვეების მიხედვით



1.2 სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ღირებულება და ტენდერების სტატუსები

საანგარიშო პერიოდში საბოლოო სტატუსი მიენიჭა 26,441[1] ტენდერს, 20,202 შემთხვევაში გაფორმდა ხელშეკრულება, რაც შედეგიანად დასრულებული ტენდერების 76%-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი პროცენტულად უცვლელია წინა წელთან შედარებით და კვლავ ადასტურებს სისტემის ეფექტიანობასა და სახელმწიფო შესყიდვების პროცესის შედეგიანობას. უარყოფითი შედეგით დასრულდა 1,857 ტენდერი, არ შედგა 3,392 ტენდერი, ხოლო 990 ტენდერი შეწყდა. ჯამურად, აღნიშნული კატეგორიების რაოდენობამ შეადგინა 6,239, რაც საბოლოო სტატუს მინიჭებული ტენდერების 24%-ს წარმოადგენს.

ტენდერების საბოლოო სტატუსების დეტალური განაწილება წარმოდგენილია დიაგრამაზე N4 ზე.

დიაგრამა N4: 2025 წელს ტენდერებზე მინიჭებული საბოლოო სტატუსები[2]



[1] გამოცხადებული ტენდერების რაოდენობასა და საბოლოო სტატუს მინიჭებული ტენდერების რაოდენობებს შორის სხვაობა განპირობებულია იმით, რომ გამოცხადებული ტენდერები მოიცავს მხოლოდ იმ ტენდერებს, რომლებიც გამოცხადდა 2025 წლის განმავლობაში, ხოლო 2025 წელს საბოლოო სტატუს მინიჭებული ტენდერები მოიცავს როგორც 2025 წელს, ასევე, წინა წლებში გამოცხადებულ სახელმწიფო ტენდერებს.

[2] მონაცემები არ მოიცავს GEO, DEP, CON, GRA და B2B ტენდერებს.

უნდა აღინიშნოს, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, 2023 წლის 19 აპრილიდან გამარტივებული შესყიდვებისათვის განსაზღვრული მონეტარული ზღვრები გაიზარდა: საქონელსა და მომსახურებაზე 10,000 ლარამდე, ხოლო სამშენებლო სამუშაოებზე 20,000 ლარამდე. ბუნებრივია, ცვლილებამ გამოიწვია ამ ზღვრების ფარგლებში ტენდერების რაოდენობის შემცირება.

2025 წელს, ტენდერების საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებების საერთო რაოდენობამ 20,460[3] შეადგინა. მათი გადანაწილება ასეთია: სამშენებლო სამუშაოებზე გაფორმდა 5,192 ხელშეკრულება (დაახლოებით 25%), საქონლის შესყიდვაზე 9,049 (დაახლოებით 44%), ხოლო მომსახურებაზე 6,219 (დაახლოებით 31%). ტენდერების მეშვეობით გაფორმებული ხელშეკრულებების გადანაწილება შესყიდვის კატეგორიების მიხედვით ასახულია N 5 დიაგრამაზე.

შედარებისთვის, 2024 წელს ყველაზე მეტი ხელშეკრულება საქონლის შესყიდვაზე (9,588; 43%) დაიდო, შემდეგ მოდიოდა მომსახურების შესყიდვა (6,889; 31%) და ბოლოს სამშენებლო სამუშაოები (5,728; 26%).

დიაგრამა N5: 2025 წელს დადებული ხელშეკრულებების განაწილება შესყიდვის ობიექტების მიხედვით



2025 წელს სახელმწიფო შესყიდვების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 6,380,651,379 ლარი, რაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ / GDP) დაახლოებით 6.1%-ია[4]. აქედან, ელექტრონული ტენდერების საშუალებით განხორციელებულმა ხელშეკრულებებმა შეადგინა 4,547,554,328 ლარი (71.25%),

[3] მონაცემები მოიცავს GEO, DEP, CON, GRA და B2B ტენდერებს.

[4] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემებით 2025 წლის მთლიანი შიდა პროდუქტი უტოლდება 104.6 მილიარდ ლარს. წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp

კონსოლიდირებულმა (ელექტრონულმა) ტენდერებმა 718,988,460 ლარი (11.25%), ხოლო გამარტივებულმა შესყიდვების ჯამურმა ღირებულებამ 1,114,108,591 ლარი (17.5%).

დიაგრამა N6: 2025 წელს სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ღირებულება



დიაგრამა N7: სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ჯამური ღირებულებები წლების მიხედვით (მლრდ. ლარი)



აღსანიშნავია, რომ შემცირებულია გამარტივებული შესყიდვების ჯამური მოცულობა, წინა წელთან შედარებით 1,182,743,811 ლარიდან 1,114,108,591 ლარამდე, რაც დაახლოებით 5.8%-იანი კლებაა და მთლიანი შესყიდვების ბიუჯეტის 17.5%-ს შეადგენს.

დიაგრამა N8: 2024-2025 წლებში გამარტივებული შესყიდვების ჯამური მოცულობა სახელმწიფო შესყიდვებში



ცენტრალიზებული შესყიდვების ნაწილშიც ზრდის დადებითი დინამიკა ისახება. 2024 წელს გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერების რაოდენობა 666-ს შეადგენდა, ხოლო 2025 წელს გაიზარდა 714-მდე, რაც წარმოადგენს დაახლოებით 7.2%-იან რაოდენობრივ ზრდას. გაზრდილია ასევე ცენტრალიზებული შესყიდვებისას გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულება. კერძოდ, ამ მაჩვენებელმა 2024 წელს 610,373,220 ლარი შეადგინა, ხოლო 2025 წელს გაიზარდა 718,988,460 ლარამდე, რაც 108,615,240 ლარის, ანუ დაახლოებით 17.8%-იანი ზრდაა. კონსოლიდირებული ტენდერების რაოდენობისა და ღირებულების ზრდა ლოგიკურად აისახა სხვა შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ (ე.წ. რეგულარული, „კონვენციური“) ელექტრონული ტენდერების საერთო რაოდენობისა და ღირებულების კლებაზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში N9 ნაჩვენებია 2025 წელს გამარტივებული შესყიდვების ხელშეკრულებების ღირებულება, რომელთა მოცულობამ ჯამურად 1,114,108,591 ლარი შეადგინა. აღნიშნული მოცულობიდან კონვენციური

გამარტივებული შესყიდვები შეადგენდა 652,335,004 ლარს (58%), სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიები 232,000,000 ლარს (21%), მონეტარული ზღვრის ფარგლებში საქონლისა და მომსახურების შესყიდვები 200,953,594 ლარს (18%), ხოლო მონეტარული ზღვრის ფარგლებში გადაუდებელი (ხშირ შემთხვევებში, სტიქიური მოვლენების შედეგების აღმოსაფხვრელად) სამშენებლო სამუშაოები 28,819,993 ლარს (3%).

დიაგრამა N9: 2025 წელს გამარტივებული შესყიდვების ხელშეკრულებების ღირებულება



დიაგრამა N10: 2025 წელს გამარტივებული შესყიდვების, სუბსიდიების, ელექტრონული ტენდერების და კონსოლიდირებული ტენდერების მოცულობები



2025 წელს ელექტრონული ტენდერების როგორც რაოდენობრივი, ასევე სახელშეკრულებო ღირებულების მაჩვენებლები 2024 წელთან შედარებით მცირედით შემცირებულია სხვადასხვა ჭრილში. კერძოდ, ხელშეკრულება დადებული ტენდერების საერთო რაოდენობა შემცირდა 21,859 დან 20,202 მდე, ხოლო ღია ელექტრონული ტენდერების სახელშეკრულებო ღირებულება – 6,348,923,845 ლარიდან 4,547,554,328 ლარამდე.

აღნიშნული მონაცემები დეტალურად მოცემულია N1 და N2 ცხრილებში.

ცხრილი N1: 2024 და 2025 წლებში ჩატარებული ტენდერების რაოდენობები სახელშეკრულებო ღირებულების ჭრილში[5]

სახელშეკრულებო ღირებულება	2025 წელი	2024 წელი
10,000 და ნაკლები	4,774	4,969
10,001 - 20,000	3,098	3,381
20,001 - 30,000	2,104	2,173
30,001 - 40,000	1,361	1,437
40,001 - 50,000	1,003	1,082
50,001 - 100,000	2,705	2,904
100,001 - 200,000	1,972	2,316
200,001 და მეტი	3,185	3,597
სულ:	**20,202**	**21,859**

ცხრილი N2: 2024 და 2025 წლებში ჩატარებული ტენდერების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება თანხობრივ ჭრილში[6]

სახელშეკრულებო ღირებულება	2025 წელი	2024 წელი
10,000და ნაკლები	25,025,951	25,606,857
10,001 - 20,000	46,346,747	50,421,874
20,001 - 30,000	52,844,653	54,794,442
30,001 - 40,000	48,136,220	50,869,715
40,001 - 50,000	45,611,970	49,218,885
50,001 - 100,000	195,272,744	210,945,201
100,001 - 200,000	286,987,922	337,146,680
200,001 და მეტი	3,847,328,121	5,569,920,191
სულ:	**4,547,554,328**	**6,348,923,845**

ქვემოთ მოცემულ N3 და N4 ცხრილებში დაანგარიშებულია ყველაზე დიდი მოცულობის შესყიდვების მქონე ორგანიზაციების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულებები და ასევე, იმ ყველაზე მსხვილი ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება, რომლებიც დაიდო გარკვეულ CPV კატეგორიებზე. ტენდერების მეშვეობით გაფორმებული ჯამური სახელშეკრულებო ღირებულების ჭრილში პირველ ადგილს საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში

[5] მონაცემები არ მოიცავს GEO, DEP, CON, GRA და B2B ტენდერებს.

[6] მონაცემები არ მოიცავს GEO, DEP, CON, GRA და B2B ტენდერებს.

არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იკავებს 78 ხელშეკრულება დადებული ტენდერით, რომლების ჯამურმა სახელშეკრულებო ღირებულებამ 562 მილიონ ლარს გადააჭარბა. მეორე და მესამე პოზიციებს ქალაქ თბილისის მერია 205,356,669 ლარითა (დადებული ხელშეკრულებების რაოდენობა 237) და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი 176,002,117 ლარით (დადებული ხელშეკრულების რაოდენობა 52) იკავებენ.

ცხრილი N3: 2025 წელს „ტოპ 10“ შემსყიდველი ორგანიზაცია ტენდერების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულების მიხედვით[7]

N	შემსყიდველი ორგანიზაცია	ხელშეკრულება დადებული ტენდერების რაოდენობა	სახელშეკრულებო ღირებულების ჯამი
1	საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	78	562,254,808
2	ქ. თბილისის მერია	237	205,356,669
3	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	52	176,002,117
4	ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	92	159,142,203
5	თბილისის სატრანსპორტო კომპანია	174	133,690,874
6	აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	8	129,610,455
7	სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო	73	103,164,810
8	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	412	93,972,276
9	შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია	30	76,033,781
10	ქალაქ ქუთაისის მერია	211	69,023,164
	სულ	1,367	1,708,251,157

ისევე როგორც გასულ წელს, 2025 წელსაც შესყიდვის კატეგორიის ჭრილში ჯამურად ყველაზე მეტი ხელშეკრულება „CPV45200000 მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოებზე“ დაიდო. აღნიშნული ხელშეკრულებების რაოდენობამ 3,483 შეადგინა, ხოლო ჯამურმა სახელშეკრულებო ღირებულებამ 2,372,145,644 ლარი შეადგინა (იხ. ცხრილი N4).

[7] ცხრილში არსებული მონაცემები მოიცავს ელექტრონულ ტენდერებს (მათ შორის შესყიდვებს პრეისკურანტით) და არ მოიცავს GEO, DEP, CON, GRA და B2B ტენდერებს.

ცხრილი N4: 2025 წელს „ტოპ 10“ CPV კატეგორია ტენდერების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულების მიხედვით[8]

N	CPV კატეგორია	ხელშეკრულების რაოდენობა	ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება
1	45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები	3,483	2,372,145,644
2	45400000 - შენობის დასრულების სამუშაოები	681	191,402,531
3	50100000 - სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	847	162,689,368
4	45100000 - სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები	412	136,479,479
5	34100000 - ავტოსატრანსპორტო საშუალებები	217	122,990,441
6	66500000 - სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებები	99	100,292,488
7	45300000 - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები	474	95,847,984
8	33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები	678	93,209,158
9	71200000 - არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	141	70,641,960
10	33100000 - სამედიცინო მოწყობილობები	695	68,792,050
	სულ	7,727	3,414,491,104

2025 წლის მონაცემები ასახავს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის სტაბილურობას, მის ეფექტიან ფუნქციონირებასა და განვითარების პოზიტიურ დინამიკას. აღნიშნული ტენდენციები ადასტურებს, რომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა ცოცხალი ორგანიზმია და ეფექტიანად რეაგირებს როგორც ბაზრის მოთხოვნებზე, ისე რეგულაციურ ცვლილებებზე, რაც უზრუნველყოფს პროცესების მოქნილობასა და მდგრადობას. ამავდროულად, შენარჩუნებულია კონკურენტული გარემო და გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტი, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს საბიუჯეტო სახსრების ეფექტიან ხარჯვას, მართვასა და სახელმწიფო ინტერესების მაქსიმალურად დაცვას.

[8] ცხრილში არსებული მონაცემები მოიცავს ელექტრონულ ტენდერებს (მათ შორის შესყიდვებს პრეისკურანტით) და არ მოიცავს GEO, DEP, CON, GRA და B2B ტენდერებს

1.3 ეკონომია და პრეტენდენტების რაოდენობა ტენდერებში

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის დანერგვის შედეგად, 2025 წელსაც ელექტრონული პროცედურების გამოყენებამ უზრუნველყო საბიუჯეტო სახსრების მნიშვნელოვანი ეკონომია; სავარაუდო და სახელშეკრულებო ღირებულებებს შორის სხვაობამ ჯამურად 5 მილიარდ ლარს გადააჭარბა (იხ. ცხრილი N5).

ცხრილი N5: ეკონომიის მაჩვენებლები 2010- 2025 წლებში დასრულებულ ტენდერებში

წელი	ჯამური ეკონომია ლარში
2010-2011	191,478,127
2012	155,610,107
2013	231,053,588
2014	241,132,563
2015	299,704,216
2016	278,435,040
2017	258,395,794
2018	285,736,820
2019	354,097,061
2020	416,575,867
2021	604,987,814
2022	423,761,645
2023	451,239,315
2024	472,051,759
2025	393,838,912
სულ	**5,058,098,628**

2025 წელს სხვადასხვა სახის საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოების შესასყიდად ჯამურად 3,914,910,706 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები გაფორმდა, ხოლო სავარაუდო და სახელშეკრულებო ღირებულებებს შორის სხვაობამ 393,838,912[9] ლარი (9.1%) შეადგინა. წინა წელთან

[9] მიღებული ეკონომიის მაჩვენებლების დათვლის მიზნით მონაცემები არ მოიცავს GEO, DEP, B2B, CON, GRA და პრეისკურანტიან ტენდერებს.

შედარებით ეკონომია შემცირებულია, თუმცა 2024 წელთან შედარებით ეკონომიის პროცენტული მაჩვენებელი 1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა (2024 წელს – 8.1%, 2025 წელს – 9.1%).

აღნიშნული მაჩვენებლის ზრდა მიუთითებს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ეფექტიანობაზე და კონკურენტული გარემოს შენარჩუნებაზე.

პროცენტულად ყველაზე დიდი ეკონომია საქონლის შესყიდვისას დაფიქსირდა, ხოლო თანხობრივ ჭრილში ყველაზე დიდი ეკონომია სამშენებლო სამუშაოების შემთხვევაშია (იხ. ცხრილი N6).

814 მილიონ ლარამდეა მხოლოდ საქონლის ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება, მომსახურების სფეროში 674 მილიონს გადააჭარბა გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულებამ, ხოლო სამშენებლო სამუშაოებზე ანალოგიურმა მაჩვენებელმა 2.4 მილიარდ ლარს გადააჭარბა.

ცხრილი N6: ეკონომიის მაჩვენებლები 2025 წელს დასრულებულ ტენდერებში

შესყიდვის კატეგორია	სავარაუდო ღირებულება	ბოლო შეთავაზება	ეკონომია	%
საქონელი	918,610,106	813,800,012	104,810,094	11.4%
მომსახურება	735,868,512	674,081,242	61,787,270	8.4%
სამშენებლო სამუშაოები	2,654,271,000	2,427,029,452	227,241,548	8.6%
სულ	**4,308,749,618**	**3,914,910,706**	**393,838,912**	**9.1%**

N11 დიაგრამაზე ასახულია მიღებული ეკონომიის მოცულობები შესყიდვების სხვადასხვა კატეგორიების ჭრილში.

დიაგრამა N11: ეკონომიის მაჩვენებლები 2025 წელს დასრულებულ ტენდერებში



ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ასახულია ტენდერების შედეგად მიღებული ეკონომიის მაჩვენებლები შემსყიდველი ორგანიზაციებისა და CPV კატეგორიების მიხედვით (ცხრილები N7 და N8). აღნიშნულ ცხრილებში მოცემულია „ტოპ 10“ შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელთა მიერ გამოცხადებულ ტენდერებში დაფიქსირდა ყველაზე მაღალი ეკონომია და ასევე, ის „ტოპ 10“ CPV კატეგორია, რომლებშიც ტენდერების შედეგად დაიზოგა ყველაზე მეტი თანხა.

ცხრილი N7: 2025 წელს „ტოპ 10“ შემსყიდველი ორგანიზაცია ეკონომიის მიხედვით[10]

N	შემსყიდველი ორგანიზაცია	ტენდერის სავარაუდო ღირებულება	ზოლო შეთავაზება ტენდერში	ეკონომია	%
1	ქ. თბილისის მერია	243,681,705	203,321,669	40,360,036	17%
2	საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	256,353,110	225,675,736	30,677,374	12%
3	სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო	114,444,225	103,152,810	11,291,415	10%
4	ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	168,346,132	158,877,203	9,468,929	6%
5	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	149,594,682	140,159,936	9,434,746	6%
6	ქალაქ ქუთაისის მერია	77,002,429	68,496,164	8,506,265	11%
7	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	93,027,219	84,838,616	8,188,603	9%
8	შ.პ.ს. ,,თბილსერვის ჯგუფი”	51,326,725	43,683,457	7,643,268	15%
9	შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	47,014,267	39,665,836	7,348,431	16%
10	თვითმმართველი ქალაქი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი	59,475,498	52,684,889	6,790,609	11%
	სულ:			139,709,676	

ცხრილი N8: 2025 წელს „ტოპ 10“ CPV კატეგორია ეკონომიის მიხედვით[11]

N	CPV კატეგორია	ტენდერის სავარაუდო ღირებულება	ზოლო შეთავაზება ტენდერებში	ეკონომია	%
1	45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები	2,183,800,247	2,018,258,979	165,541,268	8%
2	34100000 - ავტოსატრანსპორტო საშუალებები	152,204,426	122,990,441	29,213,985	19%
3	45100000 - სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები	163,707,888	136,479,479	27,228,409	17%
4	71300000 - საინჟინრო მომსახურებები	71,658,529	48,615,800	23,042,729	32%
5	45400000 - შენობის დასრულების სამუშაოები	189,417,256	169,156,327	20,260,929	11%
6	45300000 - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები	115,164,460	100,919,639	14,244,821	12%
7	33100000 - სამედიცინო მოწყობილობები	81,886,365	68,863,012	13,023,353	16%
8	66500000 - სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებები	93,604,734	83,437,076	10,167,658	11%
9	33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები	100,993,525	93,596,256	7,397,269	7%
10	79900000 - სხვადასხვა კომერციული მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	25,736,861	21,884,469	3,852,392	15%
	სულ:			313,972,813	

[10] ცხრილში მოცემულია მხოლოდ ის „ტოპ 10“ შესყიდვის კატეგორია, რომლებზეც საანგარიშო წლის განმავლობაში გამოცხადებული იყო სულ მცირე 50 ელექტრონული ტენდერი. ცხრილში არსებული მონაცემები მოიცავს ელექტრონულ ტენდერებს (არ მოიცავს შესყიდვებს პრეისკურანტით) და არ მოიცავს GEO, DEP, CON, GRA და B2B ტენდერებს.

[11] ცხრილში მოცემულია მხოლოდ ის „ტოპ 10“ შესყიდვის კატეგორია, რომლებზეც საანგარიშო წლის განმავლობაში გამოცხადებული იყო სულ მცირე 50 ელექტრონული ტენდერი. ცხრილში არსებული მონაცემები მოიცავს ელექტრონულ ტენდერებს (არ მოიცავს შესყიდვებს პრეისკურანტით) და არ მოიცავს GEO, DEP, CON, GRA და B2B ტენდერებს.

2024 წელთან შედარებით პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა გაიზარდა 2.02-დან 2.22-მდე. შესყიდვის ობიექტების მიხედვითაც ზრდა შემდეგნაირად დაფიქსირდა: სამშენებლო სამუშაოებზე მაჩვენებელი გაიზარდა 2.38-დან 2.84-მდე; საქონლის შემთხვევაში 2.03-დან 2.07-მდე; ხოლო მომსახურების შესყიდვებზე 1.70-დან 1.94-მდე.

დიაგრამა N12: 2025 წელს პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა შესყიდვის ობიექტის მიხედვით[12]



გასულ წელთან შედარებით, საშუალო მონაწილეობის ზრდა ფიქსირდება , როგორც NAT ტიპის ტენდერებში, 2.05-იდან 2.25-მდე, ასევე SPA ტიპის ტენდერებში 1.60-იდან 1.72 -მდე.

[12] პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა დათვლილია 2025 წელს დასრულებულ იმ ტენდერებში, რომლებზეც დადებულია სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებები.
მონაცემებში არ შედის GEO, DEP, GRA, CON და B2B ტენდერები.

დიაგრამა N13: 2024 წელს პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა ტენდერის ტიპების მიხედვით



დიაგრამა N14: 2025 წელს პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა ტენდერის ტიპების მიხედვით



ზემოაღნიშნული სტატისტიკური მონაცემების გარდა, მომდევნო ცხრილებში (N9 და N10) წარმოდგენილია პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა როგორც ცალკეული CPV კოდების, ისე შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებული ტენდერების მიხედვით.

საანგარიშო პერიოდში, პრეტენდენტების საშუალო რაოდენობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 4.76 დაფიქსირდა „CPV 18300000 - ტანსაცმელი" გამოცხადებულ ტენდერებში. რაც შეეხება შემსყიდველ ორგანიზაციებს, ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებელი დაფიქსირდა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში.

ცხრილი N9: 2025 წელს „ტოპ 10" CPV კატეგორია პრეტენდენტების ყველაზე მაღალი საშუალო რაოდენობით[13]

N	CPV კოდი	ტენდერების რაოდენობა	მიმწოდებლების რაოდენობა	პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა
1	18300000- ტანსაცმელი	21	100	4.76
2	39100000 - ავეჯი	66	273	4.14
3	18200000 - გარედან ჩასაცმელი ტანსაცმელი	681	2,365	3.47
4	45400000 - შენობის დასრულების სამუშაოები	211	720	3.41
5	31700000 - ელექტრონული, ელექტრომექანიკური და ელექტროტექნიკური აქსესუარები	21	71	3.38
6	45100000 - სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები	412	1,365	3.31
7	38300000 - საზომი ხელსაწყოები	24	75	3.13
8	42500000 - გამაგრილებელი და სავენტილაციო მოწყობილობები	114	350	3.07
9	18900000 -საბარგო ნივთები, სასარაჯო ნაკეთობები, ტომრები და ჩანთები	21	64	3.05
10	37400000 - სპორტული საქონელი და აღჭურვილობა - (ინვენტარი)	58	175	3.02

[13] ცხრილში მოცემულია მხოლოდ ის „ტოპ 10" შესყიდვის კატეგორია, რომლებზეც საანგარიშო წლის განმავლობაში გამოცხადებული იყო სულ მცირე 20 ელექტრონული ტენდერი. ცხრილში არსებული მონაცემები მოიცავს ელექტრონულ ტენდერებს (მათ შორის შესყიდვებს პრეისკურანტით) და არ მოიცავს GEO, DEP, CON, GRA და B2B ტენდერებს.

ცხრილი N10: 2025 წელს „ტოპ 10“ შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტების ყველაზე მაღალი საშუალო რაოდენობით[14]

N	შემსყიდველი ორგანიზაცია	პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა
1	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	5.06
2	ა(ა)იპ ხელვაჩაურის მუნიციპალური ინსპექციის, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	4.40
3	თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო	4.00
4	გარდაბნის მუნიციპალიტეტი	3.69
5	დუშეთის მუნიციპალიტეტი	3.50
6	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია	3.49
7	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	3.38
8	თერჯოლის მუნიციპალიტეტი	3.32
9	კასპის მუნიციპალიტეტი	3.26
10	ქ. თბილისის გლდანის რაიონის გამგეობა	3.24

[14] ხრილში მოცემულია მხოლოდ ის „ტოპ 10“ შესყიდვის კატეგორია, რომლებზეც საანგარიშო წლის განმავლობაში გამოცხადებული იყო სულ მცირე 20 ელექტრონული ტენდერი. ცხრილში არსებული მონაცემები მოიცავს ელექტრონულ ტენდერებს (მათ შორის შესყიდვებს პრეისკურანტით) და არ მოიცავს GEO, DEP, CON, GRA და B2B ტენდერებს.

1.4 სისტემაში რეგისტრირებული მომხმარებლები და შესყიდვებში გამარჯვებული მიმწოდებლები

2025 წელს eProcurement სისტემაში დარეგისტრირდა 3,104 ახალი ბიზნეს სუბიექტი და წლის ბოლოსთვის რეგისტრირებული მიმწოდებლების საერთო რაოდენობამ 62,579 შეადგინა (იხ. დიაგრამა N15). აღსანიშნავია სისტემაში რეგისტრირებული არარეზიდენტი მიმწოდებლების ზრდის ტენდენციის შენარჩუნებაც. 2025 წლის განმავლობაში 126 ახალი არარეზიდენტი მიმწოდებელი დარეგისტრირდა და ამჟამად ჯამურად 85 ქვეყნის 2,787 არარეზიდენტი მიმწოდებელია რეგისტრირებული, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ გამოცხადებულ ტენდერებში. ამასთანავე, სისტემას დაემატა 75 ახალი შემსყიდველი ორგანიზაცია და მათმა საერთო რაოდენობამ წლის ბოლოსთვის 4,797 შეადგინა.

დიაგრამა N15: eProcurement სისტემაში რეგისტრირებული მიმწოდებლების რაოდენობა წლების მიხედვით



დეტალური ინფორმაცია არარეზიდენტი ეკონომიკური ოპერატორების შესახებ ნაჩვენებია დიაგრამა N 16-ზე.

დიაგრამა N16: eProcurement სისტემაში რეგისტრირებული არარეზიდენტი მიმწოდებლების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით


437
391
221
179
147
135
117
88
73
70
61
53
51
47
46
44
42
39
37
37
35
31
27
19
19
18
16
16
15
14
14
13
11
11
11
10
9
9
8
8
7
7
7
6
6
6
5
5
4
3
3
3
3
2
2
2
1
1
1

დიაგრამა N17: 2025 წელს ტენდერების საფუძველზე არარეზიდენტ მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულების წილი



ქვეყნების მიხედვით, ყველაზე მაღალი ღირებულების ხელშეკრულება გაფორმდა უნგრულ კომპანიასთან და შეადგინა 36,665,209 ლარი, რაც საერთო მოცულობის უმეტეს ნაწილს წარმოადგენს. შემდგომ პოზიციებზე არიან პოლონეთი (7,729,268 ლარი) და დანია (6,616,480 ლარი).

მნიშვნელოვანი მოცულობის ხელშეკრულებები ასევე გაფორმდა ბულგარეთის (5,875,242 ლარი) და გერმანიის (4,443,652 ლარი) კომპანიებთან. შედარებით მცირე მოცულობები ფიქსირდება შვეიცარიისა (2,356,268 ლარი) და სვაზილენდის (1,712,740 ლარი) შემთხვევაში.

დანარჩენ ქვეყნებზე განაწილებული ხელშეკრულებების ღირებულება შედარებით მცირეა და მოიცავს ჩეხეთის რესპუბლიკას, ლიტვას, რუმინეთს, უკრაინას, დიდ ბრიტანეთს, სერბეთს, სლოვაკეთს, საფრანგეთსა და ლატვიას (იხ. ცხრილი N11).

ცხრილი N11: 2025 წელს ტენდერების საფუძველზე არარეზიდენტ მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულება ქვეყნების მიხედვით

ქვეყანა	ხელშეკრულების ღირებულების ჯამი	ხელშეკრულებების რაოდენობა
უნგრეთი	36,665,209	1
პოლონეთი	7,729,268	4
დანია	6,616,480	7
ბულგარეთი	5,875,242	2
გერმანია	4,443,652	3
შვეიცარია	2,356,268	2
სვაზილენდი	1,712,740	1
ჩეხეთის რესპუბლიკა	1,460,840	1
ლიტვა	1,342,900	1
რუმინეთი	1,044,833	1
უკრაინა	733,128	1
დიდი ბრიტანეთი	289,933	2
სერბეთი	152,786	1
სლოვაკეთი	52,000	1
საფრანგეთი	47,230	1
ლატვია	37,930	1
სულ	70,560,440	30

ცხრილი N12: 2025 წელს ტენდერების საფუძველზე არარეზიდენტ მიმწოდებლებთან გაფორმებული „ტოპ 10“ ხელშეკრულება ღირებულების მიხედვით

N	ტენდერის ტიპი	შემსყიდველი ორგანიზაცია	ქვეყანა	მიმწოდებელი	შესყიდვის კატეგორია	ხელშეკრულების ღირებულება
1	NAT250010850	სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო	უნგრეთი	Sanofi-Aventis Private Co. Ltd	33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები	36,665,209
2	NAT240020486	სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო	პოლონეთი	UTAL Spolka z ograniczona odpowiedzialnoscia	34900000 - სხვადასხვა სატრანსპორტო მოწყობილობა და სათადარიგო ნაწილები	7,559,206
3	SPA250000100	სსიპ სსსტც "დელტა"	ბულგარეთი	Stroyproject Ltd	24600000 - ფეთქებადი ნივთიერებები	5,808,743
4	NAT250017557	სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო	დანია	novo norrdisk a/s denmark	33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები	4,556,494
5	NAT250011231	სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო	გერმანია	MUEHLBAUER ID SERVICES GMBH	22400000-მარკები, ჩეკების წიგნაკები, ბანკნოტები, აქციები, სარეკლამო მასალა, კატალოგები და სახელმძღვანელოები	2,301,696
6	NAT250010154	საზოგადოებრივი მაუწყებელი	გერმანია	Broadcast Solutions GmbH	32300000 - ტელე- და რადიოსიგნალის მიმღებები და აუდიო- ან ვიდეოგამოსახულების ჩამწერი ან აღწარმოების აპარატურა	2,003,559
7	NAT250009609	გარემოს ეროვნული სააგენტო	სვაზილენდი	GEOTEST AG	73100000-მომსახურებები კვლევისა და ექსპერიმენტული განვითარების სფეროში	1,712,740
8	NAT250005755	შპს საქაერონავიგაცია	ჩეხეთის რესპუბლიკა	Air Navigation Services of the Czech Republic	71600000-ტექნიკური შემოწმება, ანალიზი და საკონსულტაციო მომსახურებები	1,460,840
9	NAT250003575	სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო	შვეიცარია	F.Hoffmann-La Roche Ltd	33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები	1,456,785
10	NAT250015101	საზოგადოებრივი მაუწყებელი	ლიტვა	TVC Solutions, UAB	72200000- პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება და საკონსულტაციო მომსახურებები	1,342,900
	სულ					64,868,171

2025 წელს არარეზიდენტ მიმწოდებლებთან ტენდერების მეშვეობით გაფორმებული „ტოპ 10“ ყველაზე მსხვილი ხელშეკრულების ღირებულებამ 65 მილიონ ლარამდე შეადგინა. ყველაზე მაღალი ღირებულების ხელშეკრულება გაფორმდა სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცხადებულ ტენდერში (36,665,209 ლარის), „CPV 33600000 -ფარმაცევტული პროდუქტების“ შესყიდვის კატეგორიაზე (იხ. N12 ცხრილი).

1.5 შესყიდვები დონორის სახსრებით - DEP ტენდერები

2025 წელს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ხელშეკრულება გაფორმდა 21 DEP ტიპის ელექტრონულ ტენდერში (შესყიდვები დონორი ორგანიზაციების სახსრებით), რომლებიც დაფინანსებული იყო სხვადასხვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და დონორების მიერ. აღნიშნული ტენდერების საერთო სავარაუდო ღირებულებამ 656.9 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა.

2025 წელს, ყველაზე დიდი ხელშეკრულება გაფორმდა აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით განხორციელებულ ტენდერში, რომლის ღირებულებამაც 564.2 მილიონ ლარამდე შეადგინა. მნიშვნელოვანი მოცულობა ასევე დაფიქსირდა მსოფლიო ბანკის (11 ტენდერი, 35.4 მილიონი ლარი) და სკანდინავიური გარემოს საფინანსო კორპორაციის (3 ტენდერი, 36.1 მილიონი ლარი) დაფინანსებით. აზიის განვითარების ბანკის ფარგლებში განხორციელდა 4 ტენდერი (21 მილიონი ლარი), ხოლო სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის დაფინანსებით 2 ტენდერი (320 მილიონი ლარი).

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილებში ასახულია ხელშეკრულებების რაოდენობისა და ღირებულების განაწილება როგორც დონორების, ისე შემსყიდველი ორგანიზაციების მიხედვით.

ცხრილი N13: 2025 წელს DEP ტენდერების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულების გადანაწილება დონორების მიხედვით

დონორი	DEP ტენდერების რაოდენობა	სახელშეკრულებო ღირებულება
მსოფლიო ბანკი	11	35,379,113
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი	2	319,400
აზიის განვითარების ბანკი	4	20,987,545
აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი	1	564,171,846
სკანდინავიური გარემოს საფინანსო კორპორაცია	3	36,062,807
სულ	**21**	**656,920,711**

ცხრილი N14: 2025 წელს DEP ტენდერების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულების გადანაწილება შემსყიდველი ორგანიზაციების მიხედვით

შემსყიდველი ორგანიზაცია	DEP ტენდერების რაოდენობა	სახელშეკრულებო ღირებულება
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	5	35,080,894
ოუფენ ნეტი	2	47,275,180
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	9	4,170,730
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	4	6,222,060
თბილისის სატრანსპორტო კომპანია	1	564,171,847
სულ	**21**	**656,920,711**

2. სამართლებრივი ბაზის სრულყოფა

სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობაში 2025 წელს განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება მოქმედი სამართლებრივი ბაზის სრულყოფის, სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების დახვეწისა და სახელმწიფო შესყიდვების რეფორმის ეფექტიანი იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად.

განხორციელებული რეფორმებიდან აღსანიშნავია საქართველოს პარლამენტის მიერ 2025 წლის 12 ნოემბერს მიღებული კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (№1056-IVმს-XIმპ; 17/11/2025), რომლის ავტორია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებით:

- 2026 წლის 1 ივნისიდან იქმნება ინსტიტუციურად დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ცენტრალური შემსყიდველი ორგანო, რომელიც განისაზღვრება ცენტრალიზებული შესყიდვების განხორციელებაზე უფლებამოსილ ორგანოდ. აგრეთვე, განიმარტება ტერმინი - „ცენტრალიზებული შესყიდვა“ და დგინდება ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები, მათ შორის, მისი საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები და ძირითადი ფუნქციები, ხელმძღვანელის დანიშვნის წესი და უფლებამოსილებები, დაფინანსების წყარო, ორგანიზაციული და ანგარიშგებასთან დაკავშირებული საკითხები. ამავდროულად, განისაზღვრება, რომ კონსოლიდირებულ ტენდერს, ნაცვლად საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სატენდერო კომისიისა, ჩაატარებს ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს სატენდერო კომისია, რომელსაც არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით შექმნის ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს ხელმძღვანელი. ამასთან, კანონის თანახმად, ცენტრალურ შემსყიდველ ორგანოს, დამატებით, ექნება ცენტრალიზებულ შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება, რაც შესაძლებელია განხორციელდეს შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართვის საფუძველზე, ანაზღაურების გარეშე ან ანაზღაურებით საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით. ცენტრალიზებული შესყიდვის განხორციელების დეტალური წესი და პირობები, აგრეთვე ცენტრალიზებულ შესყიდვასთან დაკავშირებული სხვა საკითხები (მათ შორის, ბაზრის კვლევის განხორციელების წესი, ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხები, წინასწარი ანგარიშსწორებისას გარანტიის წარდგენის წესი და პირობები, აგრეთვე ცენტრალიზებული შესყიდვის ფარგლებში შესაბამისი მონაცემების სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსების დეტალური წესი და პირობები და სხვა) განისაზღვრება საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით;

- საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგდა ბაზრის კვლევის განხორციელების საკითხი, ვინაიდან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ბაზარზე არსებული მდგომარეობის მოკვლევა – ბაზრის კვლევა. ამასთან, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად და ბაზრის კვლევის პროცესის იმგვარად წარმართვის ვალდებულების დასადგენად, რომ შემსყიდველ ორგანიზაციას შეექმნას მაქსიმალურად სრულყოფილი და კომპლექსური სურათი ბაზარზე არსებული შემოთავაზებების შესახებ, სააგენტოს მიერ შემუშავებულ იქნა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 30 დეკემბრის №78 ბრძანებით დამტკიცდა „შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ბაზრის კვლევის განხორციელების წესი“, რომელიც ადგენს სამართლებრივ და პროცედურულ წესრიგს ბაზრის კვლევის განხორციელების პროცესში და, მათ შორის, განსაზღვრავს შემდეგს:

  - კონკურსისა და ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვის სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ამ წესით განსაზღვრული ბაზრის კვლევის განხორციელების მეთოდების საშუალებით მოკვლეული ფასების საშუალო არითმეტიკულს. ამასთან, ამ წესის მიზნებისთვის, სახელმწიფო შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შესაძლებელია, განისაზღვროს მოკვლეული ფასებიდან მინიმალური ან მინიმალურზე დაბალი ფასითაც. აგრეთვე დადგინდა, რომ გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში, გამარტივებული შესყიდვის ღირებულება განისაზღვრება ამ წესით განსაზღვრული ბაზრის კვლევის განხორციელების მეთოდების შესაბამისად მოკვლეული ფასებიდან მინიმალური ფასით;

  - ბაზრის კვლევის შედეგები იურიდიული ძალის მქონეა ბაზრის კვლევის დასრულების თარიღიდან (ბაზრის კვლევის განცხადებისთვის სტატუსის ,,ბაზრის კვლევა დასრულებულია” მინიჭებიდან) სამი თვის განმავლობაში. ამ ვადაში სახელმწიფო შესყიდვის განუხორციელებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია ბაზრის კვლევას ახორციელებს თავიდან, კანონითა და ამ წესით განსაზღვრული პირობების დაცვით;

- ბაზრის კვლევა ითვალისწინებს, როგორც MRS მოდულის სავალდებულო გამოყენებას, ასევე პოტენციურ მიმწოდებლებთან კომუნიკაციას ან/და მათგან საჭირო ინფორმაციის/დოკუმენტაციის გამოთხოვას, ელექტრონული სისტემის გამოყენებას, ღია კარის დღის ჩატარებას და სხვა. ასევე, განისაზღვრა ის შემთხვევები, რა დროსაც შემსყიდველი ორგანიზაცია არ არის ვალდებული გამოიყენოს MRS მოდული.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 30 დეკემბრის №79 ბრძანებით აგრეთვე ცვლილება შევიდა „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ "სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებაში და დადგინდა შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილება, წლიური გეგმის შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით ბაზრის კვლევის განხორციელებამდე, ჩაატაროს მოსამზადებელი სამუშაოები;

- სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფის, დახვეწის, მისი ახალი კომპონენტებისა და მოდულების განვითარების, სისტემის მომხმარებლების ინტერესებზე მორგებული სერვისების მიწოდებისთვის ხელის შეწყობისა და ახალი სერვისების შექმნისათვის სატენდერო/საკონკურსო განცხადებისა და სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაციის გამოქვეყნებისთვის, აგრეთვე წინადადების წარდგენისთვის კანონმდებლობით დაწესებული საფასური განისაზღვრა 100 ლარის ოდენობით (ნაცვლად 50, ხოლო რიგ შემთხვევებში 25 ლარისა). აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც შეიქმნება ცენტრალური შემსყიდველი ორგანო (2026 წლის 1 ივნისიდან), კონსოლიდირებული ტენდერის შემთხვევაში წინადადების წარდგენისთვის დაწესდება საფასური – 100 ლარის ოდენობით. ამასთან, ამავე თარიღიდან, კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებული იქნება, ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს ანგარიშზე აგრეთვე გადაიხადოს თანხა – დასადები შესყიდვის ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 1%-ის ოდენობით. ამავდროულად, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 26 დეკემბრის №73, №74, №75, №76 და №77 ბრძანებებით ცვლილება შევიდა „სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის და საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასურის ოდენობებისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 23 ივნისის №15 ბრძანებაში, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების

შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებაში, „კერძო შემსყიდველის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით შესყიდვების განხორციელებისა და ამ სისტემით სარგებლობის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 30 ივლისის №8 ბრძანებაში, „სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილი მონეტარული ზღვრების გამოყენების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 21 აგვისტოს №3 ბრძანებასა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანებაში;

- შეიცვალა ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას, ვადების შერჩევასთან დაკავშირებული მიდგომა და შესაბამისი ვადის შერჩევა, ძირითადად, დამოკიდებული იქნება შესყიდვის ობიექტის ღირებულებაზე და არა ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვის ღირებულებაზე. ასევე, განისაზღვრა, რომ სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფად არ განიხილება ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების ერთი დაფინანსების წყაროდან ცალ-ცალკე შესყიდვა, თუ შესყიდვა ხორციელდება შესყიდვის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ამასთან, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 26 დეკემბრის №72 ბრძანებით ცვლილება შევიდა სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფის გამოვლენის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 25 დეკემბრის №27 ბრძანებაში და მათ შორის დადგინდა, რომ ელექტრონული ტენდერის პრეისკურანტის საფუძველზე ჩატარებისას, ხელოვნურად დაყოფის მიზნებისთვის, გაითვალისწინება შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულება;

- შემსყიდველი ორგანიზაციების მოქნილობის გაუმჯობესებისათვის დადგინდა კანონის მოქმედების სფეროდან დამატებითი გამონაკლისები. კერძოდ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება აღარ ვრცელდება არბიტრაჟისა და მედიაციის მომსახურებაზე, იურიდიულ მომსახურებაზე, რომელიც დაკავშირებულია კლიენტის ინტერესების დაცვასთან როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, სასამართლოებში, ადმინისტრაციულ ან სამართალდამცავ ორგანოებში,

საერთაშორისო არბიტრაჟსა და დავის გადაწყვეტის სხვა მექანიზმებში. გარდა ამისა, გამონაკლისად განისაზღვრა ზემოაღნიშნული პროცესებისთვის საჭირო იურიდიული კონსულტაცია, აგრეთვე, დოკუმენტების სანოტარო წესით დამოწმება, აპოსტილით დამოწმება და ლეგალიზაცია, სასამართლოს მიერ ან კანონით დანიშნული წარმომადგენლისა და მეურვის მიერ გაწეული იურიდიული საქმიანობა, ასევე, საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა იურიდიული მომსახურება, ასევე, უცხო ქვეყანაში მოწმის, ექსპერტის და თარჯიმნის მონაწილეობასთან დაკავშირებული მომსახურებები, როდესაც ისინი აუცილებელია შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესების დასაცავად საერთაშორისო ან უცხოურ სამართლებრივ ინსტიტუტებში.

საგულისხმოა, რომ ზემოაღნიშნულ გამონაკლისებთან, ბაზრის კვლევასთან და სატენდერო/საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის და სატენდერო/საკონკურსო განცხადებისა და დოკუმენტაციის გამოქვეყნებისთვის დაწესებულ საფასურებთან, აგრეთვე, ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს შექმნასა და ფუნქციონირებასთან, ასევე გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს ანგარიშზე თანხის გადახდასთან დაკავშირებით არსებული მიდგომები უკვე გათვალისწინებულია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, სააგენტოს მიერ მომზადებულ და საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილ „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში.

ამდენად, გატარებული რეფორმის შედეგად, ეროვნული კანონმდებლობა უფრო მეტად დაუახლოვდა ევროკავშირის შესაბამის დირექტივებსა და რეგულაციებს, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და შესაბამისად, ევროკავშირთან საკანონმდებლო და ინსტიტუციურ დაახლოებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საგულისხმოა, რომ 2025 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მომზადდა და დადგენილი წესით გამოიცა არაერთი მნიშვნელოვანი კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტი, კერძოდ:

- დადგენილი წესით გამოიცა „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 21 მარტის №59 და 2025 წლის 11 აპრილის №60 ბრძანებები. განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ინფრასტრუქტურული პროექტების, აგრეთვე წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელით მომსახურების

შეუფერხებლად განხორციელების ხელშეწყობისა და საქართველოს მთავრობის 2025 წლის 17 მარტის №493 და 2023 წლის 20 აპრილის №733 განკარგულებებით გათვალისწინებული ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელების უზრუნველყოფად, განისაზღვრა, რომ ბრძანების დანართი №2-ით გათვალისწინებულ კონკრეტულ CPV კოდზე, ელექტრონული ტენდერი შესაძლებელია ჩატარდეს პრეისკურანტის საფუძველზე აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება ზემოაღნიშნული განკარგულების შესაბამისად;

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 3 ივნისის №61 ბრძანებით ცვლილება შევიდა „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში თანამდებობების დასაკავებლად საჭირო დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 27 ნოემბრის №22 ბრძანებაში. განხორციელებული ცვლილებების შედეგად აღნიშნული აქტი შესაბამისობაში მოვიდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. ამასთან, განისაზღვრა ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერის თანამდებობის დასაკავებლად ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები;

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 18 ივნისის №62 ბრძანებით ცვლილება შევიდა „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებაში. აღნიშნული ცვლილების შედეგად გაუქმდა ელექტრონული ტენდერის ჩატარების ერთ-ერთი მეთოდი, კერძოდ, სამუშაოს შესყიდვის მიზნით ელექტრონული ტენდერის განსხვავებული წესით ჩატარება (DAP ელექტრონული ტენდერი);

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 20 აგვისტოს №63, №64 და №65 ბრძანებებით ცვლილება შევიდა „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანებაში, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებასა და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებაში. განხორციელებული ცვლილების შედეგად,

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის, აგრეთვე ე.წ. საავანსო გარანტიის წარდგენა შესაძლებელი გახდა ელექტრონული სისტემის საშუალებით – ელექტრონული დოკუმენტის ფორმით, გარდა არარეზიდენტი პირის მიერ გაცემული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის/წინასწარ გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტიისა, რაც შემსყიდველ ორგანიზაციას წარედგინება მხოლოდ მატერიალური დოკუმენტის ფორმით. ამასთან, დადგინდა, რომ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის/წინასწარ გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტიის ელექტრონული დოკუმენტის ფორმით წარდგენისას, აღნიშნულ დოკუმენტზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის მიერ, შესრულებული უნდა იყოს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა და დასმული უნდა იყოს კვალიფიციური ელექტრონული შტამპი;

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 2 ოქტომბრის №66 და №67 ბრძანებებით ცვლილება შევიდა „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებასა და „ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 28 ივლისის №11 ბრძანებაში. აღნიშნული ცვლილების თანახმად, დაზუსტებას აღარ ექვემდებარება წარდგენილი ისეთი ხარჯთაღრიცხვა, სადაც განუფასებელი პოზიცი(ებ)ის რაოდენობა აღემატება განსაფასებელი პოზიციების 5%-ს (ნაცვლად 1%-სა);

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 24 ოქტომბრის №68, №69 და №70 ბრძანებებით ცვლილება შევიდა „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებაში, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებასა და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებაში. აღნიშნული ცვლილების შედეგად განისაზღვრა, რომ მიმწოდებელს თეთრ სიაში რეგისტრაციისათვის სხვადასხვა შემსყიდველი ორგანიზაციისაგან მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ სამი ცნობა მის მიერ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში

გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულების შესახებ. აგრეთვე, დადგინდა, რომ ხელშეკრულების ღირებულება არ უნდა შეადგენდეს 50 000 ლარზე ნაკლებს – საქონლის ან მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში, ხოლო 200 000 ლარზე ნაკლებს – სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში. ასევე, ზემოაღნიშნული ცვლილების ფარგლებში, დადგინდა რომ 2026 წლის 1 იანვრიდან, თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს წინასწარ გადასახდელი თანხის 60%-ის ოდენობის გარანტიას, 2027 წლის 1 იანვრიდან - 70%-ის ოდენობის გარანტიას, ხოლო 2028 წლის 1 იანვრიდან - 80%-ის ოდენობის გარანტიას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. ამავე ცვლილებებით დადგინდა, რომ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ან/და წინასწარ გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტიის ხელშეკრულების მიმდინარეობის პერიოდში ხელახლა წარდგენის ვალდებულების წარმოშობის შემთხვევაში, მიმწოდებელი შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის გარანტიას ან/და მოთხოვნილი ოდენობის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას სრულად, თუ: ა) ამოწურულია მისი თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა ან გაუქმებულია მისი თეთრ სიაში რეგისტრაცია; ბ) იგი დარეგისტრირებულია თეთრ სიაში, თუმცა თავდაპირველი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ან/და წინასწარ გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტიის წარდგენისას (არსებობის შემთხვევაში) იგი არ იყო დარეგისტრირებული თეთრ სიაში;

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 19 დეკემბრის №71 ბრძანებით ცვლილება შევიდა „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებაში. განხორციელებული ცვლილებით, ახლებურად ჩამოყალიბდა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის გამოთვლის წესი სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში, კერძოდ, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ოდენობა, სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში განისაზღვრება:

  - ხელშეკრულების ღირებულების 2%-დან 10%-ის ჩათვლით – თუ გამარჯვებულ პრეტენდენტთან დასადები ხელშეკრულების ღირებულება ნაკლებია 30 000 000 (ოცდაათი მილიონი) ლარზე;

- ხელშეკრულების ღირებულების 5%-დან 10%-ის ჩათვლით – თუ გამარჯვებულ პრეტენდენტთან დასადები ხელშეკრულების ღირებულება ნაკლებია 30 000 000 (ოცდაათი მილიონი) ლარზე და, ამასთან, გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული წინადადების საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით ნაკლებია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე;

  ხელშეკრულების ღირებულების 2%-დან 20%-ის ჩათვლით – თუ გამარჯვებულ პრეტენდენტთან დასადები ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ან აღემატება 30 000 000 (ოცდაათი მილიონი) ლარს;

- ხელშეკრულების ღირებულების 5%-დან 20%-ის ჩათვლით – თუ გამარჯვებულ პრეტენდენტთან დასადები ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ან აღემატება 30 000 000 (ოცდაათი მილიონი) ლარს და, ამასთან, გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული წინადადების საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით ნაკლებია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე;

  - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 26 დეკემბრის №76 ბრძანებით ცვლილება შევიდა „სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილი მონეტარული ზღვრების გამოყენების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 21 აგვისტოს №3 ბრძანებაში. განხორციელებული ცვლილების შედეგად, სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობაში აისახა, ევროკომისიის 2023 წლის 15 ნოემბრის №2023/2495 რეგულაციის შესაბამისად განახლებული, ევროკავშირის დირექტივებით დადგენილი მონეტარული ზღვრები.

3. ცენტრალიზებული შესყიდვები

2025 წელს, საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი მართვისა და ხარჯვის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, საქართველოს მთავრობის შესაბამისი სამართლებრივი აქტებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ცენტრალიზებული შესყიდვების (ე.წ. კონსოლიდირებული ტენდერების) მეშვეობით სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე გამარჯვებულები გამოავლინა 343 ტენდერის ფარგლებში (იხ. ცხრილი N15), რაც 2024 წელთან შედარებით 38 ტენდერით მეტია.

ცხრილი N15: 2025 წელს გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერების რაოდენობა შესყიდვის ობიექტის მიხედვით

N	შესყიდვის ობიექტი	გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა (გამარჯვებული გამოვლენილია)
1	ფარმაცევტული პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	95
2	სკოლების მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურება	65
3	ძალოვანი სტრუქტურებისთვის განკუთვნილი სხვადასხვა საკვები პროდუქტები	59
4	მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანების საბურავები	33
5	დიდი ტვირთამწეობის ავტომანქანების საბურავები	14
6	თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის განკუთვნილი სხვადასხვა საკვები პროდუქტები	14
7	სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის მომსახურება	11
8	მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებები და მათი გეგმიური ფლობის მომსახურება	9
9	ნავთობპროდუქტები საწვავი	6
10	სამედიცინო სახარჯი მასალების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	6
11	A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდი	4
12	ერთჯერადი სამედიცინო ხელთათმანების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	4
13	საწვავი ბრიკეტები	2
14	M3 კატეგორიის ავტობუსები	2
15	წიგნების ბეჭდვა და ადგილზე მიწოდება (სასკოლო სახელმძღვანელოები)	2
16	საოფისე სავარძელი (გორგოლაჭიანი)	1
17	საკონფერენციო სკამი	1
18	სხვადასხვა სახის საოფისე ავეჯი	1
19	სასკოლო მერხები და სკამები	1
20	რიგი საჯარო სკოლებისთვის ვიდეოსათვალთვალო სისტემის (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი/გამართვა და ტექნიკური უზრუნველყოფა)	1

21	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჭიროებისთვის სამხრე/სამკერდე კამერების (მუდმივმოქმედი ლიცენზიით) თანმდევი მომსახურებით და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების, აქსესუარებისა და პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვა	1
22	საჯარო სკოლებში ცენტრალიზებული უკაბელო ქსელის (WIFI) მოწყობისათვის საჭირო საქონლისა და თანმდევი მომსახურების შესყიდვა	1
23	სატრანსპორტო საშუალებების ძრავის ზეთებისა და ზეთის ფილტრების შესყიდვა	1
24	სატრანსპორტო საშუალებების აკუმულატორების შესყიდვა	1
25	პირველკლასელთა და მათი დამრიგებლებისათვის განკუთვნილი, სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერი - სტანდარტული ნეთბუქი	1
26	პრინტერები და კარტრიჯები	1
27	უწყვეტი კვების წყაროები	1
28	პერსონალური კომპიუტერები	1
29	ლეპტოპები	1
30	ლეპტოპები ESIDA	1
31	არასტერილური სამედიცინო მარლისა და ბახილების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	1
32	ნიღაბის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	1
	სულ	**343**

ისევე როგორც გასულ წლებში, კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარების უზრუნველსაყოფად განხორციელდა კანონმდებლობით განსაზღვრული აუცილებელი სამართლებრივი და ორგანიზაციული ღონისძიებები. მომზადდა საქართველოს მთავრობის განკარგულებების პროექტები კონსოლიდირებული ტენდერების გამოცხადების შესახებ, ასევე შემუშავდა თითოეული კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გასაფორმებელი ხელშეკრულებების ნიმუშები, რომლებიც განთავსდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

ქვემოთ წარმოდგენილ N16 ცხრილში მოცემულია 2025 წელს კონსოლიდირებული ტენდერების მეშვეობით განხორციელებული შესყიდვების შესახებ დეტალური ინფორმაცია. 2025 წელს აღნიშნული ტენდერების ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების საწყისმა სავარაუდო ჯამურმა ღირებულებამ 745,891,455 ლარი შეადგინა (აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ღირებულებაში გათვალისწინებულია მრავალწლიანი შესყიდვებიც, რომელთა ფარგლებში ანგარიშსწორება 2025 წელს იწყება). ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებულმა საბოლოო ღირებულებამ 719 მილიონ ლარს მიაღწია, ხოლო ელექტრონულ ტენდერებში ვაჭრობის შედეგად მიღებულმა ჯამურმა ეკონომიამ 27 მილიონ ლარამდე შეადგინა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც სააგენტოს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ეფექტიანი ბაზრის კვლევისა და

კონსულტაციების შედეგად, კონსოლიდირებულ ტენდერებში საწყის სავარაუდო ფასებად ფიქსირდება მინიმალური ფასები, რის გამოც ელექტრონული ვაჭრობის შედეგად მიღებული ეკონომია მცირდება, რეალურად კი დაგეგმილთან შედარებით მეტია მიღებული ეკონომიის მაჩვენებელი. აღნიშნულ შემთხვევებში, ცენტრალიზებული შესყიდვების ეფექტიანობის გამოსახატად, მხოლოდ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად მიღებული ეკონომიის მაჩვენებელი არ იძლევა ობიექტურ სურათს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ცენტრალიზებული შესყიდვების რეფორმის შედეგების ობიექტურად შესაფასებლად, მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნეს ასევე საცალო და საბაზრო ფასები (იხილეთ ცხრილი N16).

2025 წელს კონსოლიდირებული ტენდერების გზით მიღებულმა ეკონომიამ შესაბამისი შესყიდვის ობიექტების საცალო და საბითუმო ფასებთან მიმართებაში გადააჭარბა 339 მილიონ ლარს.

ცხრილი N16: 2025 წელს გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერები შესყიდვის ობიექტის, რაოდენობის, საწყისი ჯამური ღირებულებისა და ეკონომიის მიხედვით 15

N	შესყიდვის ობიექტი	გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა (გამარჯვებული გამოვლენილია)	გამოცხადებული რაოდენობა (შესყიდვის ობიექტების მიხედვით)	საწყისი ჯამური ღირებულება (ლარი)	ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული ჯამური ღირებულება (ლარი)	ელექტრონულ ტენდერში ვაჭრობის შედეგად მიღებული ჯამური ეკონომია (ლარი)	სავარაუდო ეკონომია (საშუალო საბაზრო ფასთან მიმართებაში) ლარი
1	პრინტერები და კარტრიჯები	1	7,039 ერთეული პრინტერი და 161,170,000 მისთვის განკუთვნილი კარტრიჯების გვერდის ბეჭდვის რაოდენობა	12,226,050.00	12,226,050.00	-	15,639,306.00
2	უწყვეტი კვების წყაროები	1	7,598 ერთეული უწყვეტი კვების წყარო	645,830.00	630,634.00	15,196.00	144,362.00
3	პერსონალური კომპიუტერები	1	12,013 ერთეული დესკტოპი	22,224,050.00	22,163,985.00	60,065.00	7,568,190.00
4	ლეპტოპები	1	3,971 ერთეული ლეპტოპი	7,147,800.00	7,147,800.00	-	1,985,500.00
5	ლეპტოპები სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის"	1	14,000 ერთეული ლეპტოპი	22,204,000.00	22,204,000.00	-	7,000,000.00
6	პირველკლასელთა და მათი დამრიგებლებისათვის განკუთვნილი, სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერი - სტანდარტული ნეთბუქი	1	56,000 ერთეული ნეთბუქი	50,400,000.00	42,392,000.00	8,008,000.00	17,640,000.00
7	A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდი	4	1'210'000 შეკვრა	11,437,500.00	10,794,500.00	643,000.00	2,261,626.84
8	ნავთობპროდუქტები საწვავი	6	93'996'000 ლიტრი	227,472,180.00	227,472,180.00	-	65,312,811.67
9	სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის მომსახურება	11	494 შემსყიდველი ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული - 15 764 სატრანსპორტო საშუალებისთვის, რომელთა ჯამური საბალანსო ღირებულება შეადგენს - 734 602 989.06 ₾	26,454,923.05	25,024,682.00	1,430,241.05	9,501,658.00
10	M3 კატეგორიის ავტობუსები	2	18 ცალი	10,439,406.00	10,427,110.00	12,296.00	-
11	მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებები და მათი გეგმიური ფლობის მომსახურება	9	1 502 ცალი	93,511,358.00	89,219,599.00	4,291,759.00	-
12	სატრანსპორტო საშუალებების ძრავის ზეთებისა და ზეთის ფილტრების შესყიდვა	1	447 740 ლიტრი ზეთი და 60 000 ცალი ფილტრი	5,877,505.62	5,877,505.62	-	1,939,577.00
13	სატრანსპორტო საშუალებების აკუმულატორების შესყიდვა	1	11 533 ცალი აკუმულატორი	2,648,154.00	2,648,154.00	-	953,335.00
14	მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანების საბურავები	33	63 184 ცალი	14,769,480.00	14,137,171.90	632,308.10	4,430,844.00
15	დიდი ტვირთამწეობის ავტომანქანების საბურავები	14	17 355 ცალი	9,384,599.00	8,496,320.80	888,278.20	2,815,000.00

15 ვინაიდან ტენდერების უმრავლესობა აერთიანებს მრავალი სხვადასხვა დასახელების, სახეობისა თუ სპეციფიკაციის პროდუქტს, შეუძლებელია ზუსტი ეკონომიის გამოთვლა საბაზრო ფასებთან შედარებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომია საბაზრო ფასებთან მიმართებაში, დათვლილია მიახლოებით, საცალო ბაზარზე არსებული ფასების გასაშუალოებულ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, სხვადასხვა სტატისტიკური ანალიზის მეთოდების გამოყენებით.

16	ძალოვანი სტრუქტურებისთვის განკუთვნილი სხვადასხვა საკვები პროდუქტები	59	148 დასახელების საკვები პროდუქტები	62,369,202.37	61,536,692.97	832,509.40	42,469,703.27
17	თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის განკუთვნილი სხვადასხვა საკვები პროდუქტები	14	56 დასახელების საკვები პროდუქტები	30,779,602.12	30,124,308.68	655,293.44	24,872,772.65
18	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჭიროებისთვის სამხრე/სამკერდე კამერების (მუდმივმოქმედი ლიცენზიით) თანმდევი მომსახურებით და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების, აქსესუარებისა და პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვა	1	სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოსთვის 450 ერთეული სამხრე/სამკერდე კამერების (მუდმივმოქმედი ლიცენზიით) თანმდევი მომსახურებით და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების, აქსესუარებისა და პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვა	1,200,000.00	850,440.00	349,560.00	2,061,376.00
19	რიგი საჯარო სკოლებისთვის ვიდეოსათვალთვალო სისტემის (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი/გამართვა და ტექნიკური უზრუნველყოფა) შესყიდვა	1	85 საჯარო სკოლისთვის ვიდეოსათვალთვალო სისტემის (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი/გამართვა და ტექნიკური უზრუნველყოფა) შესყიდვა	4,910,000.00	4,277,000.00	633,000.00	3,672,965.00
20	საჯარო სკოლებში ცენტრალიზებული უკაბელო ქსელის (WIFI) მოწყობისათვის საჭირო საქონლისა და თანმდევი მომსახურების შესყიდვა	1	347 საჯარო სკოლისთვის ცენტრალიზებული უკაბელო ქსელის (WIFI) მოწყობისათვის საჭირო საქონლისა და თანმდევი მომსახურების შესყიდვა	8,910,000.00	7,886,000.00	1,024,000.00	28,114,000.00
21	წიგნების ბეჭდვა და ადგილზე მიწოდება (სასკოლო სახელმძღვანელოები)	2	5 647 735 სახელმძღვანელო	18,656,206.31	18,656,206.31	-	50,238,400.00
22	სკოლების მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურება	65	სკოლების მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურება თბილისსა და საქართველოს 62 მუნიციპალიტეტში	56,825,428.54	52,680,804.16	4,144,624.38	-
23	საწვავი ბრიკეტები	2	5766.50 ტონა	5,478,175.00	5,215,520.00	262,655.00	3,434,230.00
24	სასკოლო მერხები და სკამები	1	83 000 კომპლექტი სასკოლო მერხი და სკამი	13,280,000.00	12,186,284.00	1,093,716.00	6,073,716.00
25	სხვადასხვა სახის საოფისე ავეჯი	1	13 ტიპის საოფისე ავეჯი, ჯამში 12 649 ნაკეთობა (ერთეული)	1,977,946.73	1,877,945.73	100,001.00	1,965,734.00
26	საოფისე სავარძელი (გორგოლაჭიანი)	1	12 683 ერთეული	2,511,234.00	2,384,404.00	126,830.00	1,293,666.00
27	საკონფერენციო სკამი	1	19 937 ერთეული	1,026,954.87	986,881.50	40,073.37	807,450.00
28	ფარმაცევტული პროდუქტები (მედიკამენტები)	95	652 სხვადასხვა დასახელების, დოზის და ფორმის 14,025,951 ცალი მედიკამენტი	14,797,087.71	13,573,802.43	1,223,285.29	24,540,468.69
29	არასტერილური სამედიცინო მარლა და ბახილები	1	2,467,010 წყვილი ბახილი და 183,213 ცალი არასტერილური სამედიცინო მარლა	448,744.54	443,248.15	5,496.39	730,901.51
30	ერთჯერადი სამედიცინო ხელთათმანები	4	17,118,025 წყვილი სამედიცინო ხელთათმანი	3,121,125.90	2,960,436.53	160,689.38	6,529,698.29
31	სამედიცინო სახარჯი მასალები	6	80 სხვადასხვა დასახელების 24,513,059 ცალი სამედიცინო სახარჯი მასალა	2,640,389.89	2,390,663.46	249,726.43	4,926,798.55
32	სამედიცინო ნიღაბი	1	2,913,026 ცალი ნიღაბი	116,521.04	96,129.86	20,391.18	588,431.25
	სულ:	**343**		**745,891,455**	**718,988,460**	**26,902,995**	**339,512,522**

2024 წელთან შედარებით გაიზარდა როგორც შესყიდვების საწყისი სავარაუდო ჯამური ღირებულება, ასევე ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო თანხა. ამასთანავე, 2025 წელს მიღებული ეკონომია (26,902,995 ლარი) მნიშვნელოვნად აღემატება 2024 წლის მაჩვენებელს, როდესაც ვაჭრობის შედეგად დაახლოებით 16 მილიონი ლარის ეკონომია დაფიქსირდა.

2025 წელს ახალ შესყიდვის ობიექტებზე ტენდერების გამოცხადების შედეგად სახეზეა საბიუჯეტო სახსრების მნიშვნელოვანი ეკონომია და შესყიდვის ობიექტების ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება და სტანდარტიზება.

გარდა ამისა, 2025 წელს დაიგეგმა და დაიწყო სატენდერო პროცედურების განხორციელება მომდევნო საბიუჯეტო წლებისთვის, სხვადასხვა შემსყიდველი ორგანიზაციისთვის განკუთვნილი სპეციალური სამუშაო ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და აქსესუარების, აგრეთვე, საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის საჭირო ინვენტარის (სათამაშოები, ავეჯი, ტექსტილი, ჭურჭელი, სამზარეულოს ტექნიკა და აღჭურვილობა) შესყიდვის მიზნით.

ისევე როგორც წინა წლებში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აქტიურად აგრძელებს ანალიტიკურ და კვლევით საქმიანობას, რომლის მიზანია დამატებითი შესყიდვის ობიექტების გამოვლენა სავარაუდო აგრეგირების, სტანდარტიზებისა და კონსოლიდაციის მიზნით. აღნიშნული მუშაობა მიმართულია იმ საქონლისა და მომსახურების იდენტიფიცირებისკენ, რომელთა ცენტრალიზებული წესით შესყიდვა მიზანშეწონილი იქნება საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი გამოყენებისა და სხვა სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნული უაღრესად წარმატებული საქმიანობის შედეგად, 2025 წელს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონში შევიდა ცვლილება, რომლის საფუძველზეც 2026 წლის 1 ივნისიდან იქმნება ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო უწყება - საჯარო სამართლის იურიდიული პირი „ცენტრალური შემსყიდველი ორგანო“. აღნიშნული უწყება, საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში, განახორციელებს კონსოლიდირებულ ტენდერებს ერთგვაროვანი ობიექტების შესაძენად ან/და იმ შესყიდვების განსახორციელებლად სხვა შემსყიდველი ორგანიზაციების სახელით და მათ სასარგებლოდ, რომელთა ღირებულება აღემატება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ მონეტარულ ზღვრებს.

4. გამარტივებული შესყიდვები

2025 წელს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის სპეციალიზებულ SMP მოდულში შემოვიდა სულ 3,714 განცხადება გამარტივებული შესყიდვის განხორციელების მიზნით. აღნიშნული მომართვებიდან:

- 3,447 შემთხვევაში გაიცა თანხმობა;
- 207 განაცხადი გახმობილი;
- 37 განაცხადი განუხილველი;
- 1 განაცხადი უარყოფილი;
- 22 განაცხადი გამოქვეყნებული[16];

დიაგრამა N18: 2025 წელს გამარტივებული შესყიდვების შეთანხმების ელ.-მოდულში შემოსული განცხადებების განაწილება მიმართვის სტატუსების მიხედვით



[16] აღნიშნული სტატუსი შესყიდვას ენიჭება იმ შემთხვევაში, როდესაც გამარტივებული შესყიდვის ღირებულება შეადგენს ან აღემატება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილ მონეტარულ ზღვრებს.

დიაგრამა N1: 2025 წელს გამარტივებული შესყიდვების შეთანხმების ელ.მოდულში შემოსული განცხადებების განაწილება მიმართვის საფუძვლის მიხედვით



გამარტივებული შესყიდვების საფუძვლების მიხედვით თანხმობა გაიცა შემდეგი საფუძვლებით:

- გადაუდებელი აუცილებლობა 1,123 თანხმობა;
- ექსკლუზიური უფლებამოსილება 1,416 თანხმობა;
- ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარება 262 თანხმობა;
- ხარისხის გაუარესების თავიდან აცილება 71 თანხმობა;
- შეთანხმება გადაუდებელი აუცილებლობის შესყიდვის შემდგომ 575 თანხმობა, რაც ძირითადად დაკავშირებულია სტიქიური მოვლენებით გამოწვეული შედეგებით სალიკვიდაციო ღონისძიებებთან;

2025 წელს შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სააგენტოში მომართვისა და სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სტატისტიკური დეტალური მონაცემები მოცემულია ცხრილი N17-ში.

ცხრილი N17: 2025 წელს გამარტივებული შესყიდვების შეთანხმების ელ.-მოდულში შემოსული განცხადებების დეტალური სტატისტიკა

მომართვის საფუძველი	თანხმობა	გახმობილი	განუხილველი	უარყოფა	გამოქვეყნებულია	ჯამი
გადაუდებელი აუცილებლობა	1,123	101	14	1	17	1,256
ექსკლუზიური უფლებამოსილება	1,416	46	12	-	-	1,474
ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარება	262	32	3	-	-	297
ხარისხის გაუარესების თავიდან აცილება	71	12	3	-	-	86
შეთანხმება გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის შემდგომ	575	16	5	-	5	601
ჯამი	3,447	207	37	1	22	3,714

5. „თეთრი სიის“ წარმოება

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კვალიფიციურ მიმწოდებელთა რეესტრში („თეთრი სია“) ეკონომიკური ოპერატორების რეგისტრაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების საერთო რაოდენობა მცირედით შემცირდა.

2025 წელს მიღებულ გადაწყვეტილებათა ჯამურმა რაოდენობამ შეადგინა 247, მაშინ როდესაც 2024 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 262 იყო.

მიღებული გადაწყვეტილებების დეტალური სტატისტიკა შემდეგია:

- 128 მიმწოდებელი დარეგისტრირდა „თეთრ სიაში“ (2024 წელი 115);
- 71 მიმწოდებელს გაუგრძელდა რეგისტრაციის ვადა (2024 წელი 89);
- 7 განაცხადზე მიღებულ იქნა უარყოფითი გადაწყვეტილება (2024 წელი 7);
- 41 განაცხადი დარჩა განუხილველი (2024 წელი 51).

მონაცემები მიუთითებს, რომ 2025 წელს რეგისტრაციის გაგრძელების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობამ 71 შეადგინა, რაც საერთო გადაწყვეტილებების მნიშვნელოვან წილს წარმოადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი ადასტურებს თეთრ სიაში უკვე რეგისტრირებული ეკონომიკური ოპერატორების აქტიურ და უწყვეტ მონაწილეობას სახელმწიფო შესყიდვების პროცესში, რაც, თავის მხრივ, სისტემისადმი ნდობის მაჩვენებელია.

დიაგრამა N20: 2025 წელს „თეთრ სიაში“ რეგისტრაციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების განაწილება სტატუსების მიხედვით



6. „შავი სიის“ წარმოება

2025 წელს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არაკეთილსინდისიერ მიმწოდებელთა რეესტრთან („შავი სია“) დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებათა საერთო რაოდენობამ შეადგინა 439, მაშინ როდესაც 2024 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 465-ს უდრიდა.

მიღებული გადაწყვეტილებების სტატისტიკა შემდეგია:

- 311 შემთხვევაში მიმწოდებლები დარეგისტრირდნენ „შავ სიაში“ (2024 წელი 337);
- 101 მიმწოდებელს მიეცა გაფრთხილება (2024 წელი 95);
- 24 განაცხადზე მიღებულ იქნა უარყოფითი გადაწყვეტილებამ(2024 წელი 21);
- 3 განაცხადი დარჩა განუხილველი (2024 წელი 12).

მონაცემების ანალიზი მიუთითებს, რომ გადაწყვეტილებების მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის შავ სიაში რეგისტრაციის შემთხვევებზე, რაც ასახავს სააგენტოს მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული ზედამხედველობის მექანიზმების ეფექტიან გამოყენებას. ამასთანავე, გაფრთხილების ინსტრუმენტის გამოყენება მიუთითებს პრევენციული ღონისძიებების აქტიურ დანერგვაზე, რაც ხელს უწყობს სახელმწიფო შესყიდვების პროცესში კეთილსინდისიერი ქცევის სტანდარტის შემდგომ განმტკიცებას.

დიაგრამა N21: 2025 წელს „შავ სიაში“ რეგისტრაციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების განაწილება სტატუსების მიხედვით



7. ადმინისტრაციული სამართალდარღვევები და სასამართლო დავები

2025 წელს, განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით მომზადდა 62 მოხსენებითი ბარათი. თითოეული შემთხვევის შესწავლის შედეგად მათ მიენიჭა სათანადო კვალიფიკაცია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლების მიხედვით, ხოლო წერილობითი შეტყობინებები გაეგზავნა შესაბამის პირებს.

ჩატარებული სამართალწარმოების ფარგლებში, შედგა 60 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც შეეხებოდა 120 პირს.

2025 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები შედგენილ იქნა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 159^5 მუხლითა (სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების საშუალების არასწორად შერჩევა ან სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფა) და 159^6 მუხლით (სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების წესების დარღვევა) განსაზღვრული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის. სააგენტოს მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია დიაგრამაში (იხ დიაგრამა N22).

დიაგრამა N22: 2025 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები



სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები და შესაბამისი მასალები გადაგზავნილ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოში. სასამართლო განხილვის შედეგად დადგინდა, რომ ყველა შემთხვევა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენდა. შესაბამისად, დამრღვევი პირები, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლითა და ნაწილის მიხედვით, ცნობილ იქნენ სამართალდამრღვევად და გამოეცხადათ სიტყვიერი შენიშვნა.

2025 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მონაწილეობით ჩატარდა 209 სასამართლო პროცესი.

2025 წელს, გასაჩივრებულ იქნა შავ სიაში რეგისტრაციასთან დაკავშირებული 29 განკარგულება, რომლებიც ამ ეტაპზე განხილვის პროცესშია. აღსანიშნავია, რომ სასამართლოს მიერ, 2025 წელს, შავ სიასთან მიმართებაში გამოყენებულ იქნა უზრუნველყოფის ღონისძიება 11 შემთხვევაში, რაც გასაჩივრდა სააგენტოს მიერ. შესაბამისად, 2025 წელს სააგენტოს მიერ მომზადებულ იქნა 11 კერძო საჩივარი ადმინისტრაციულ საქმეზე, აქედან, 8 კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო 3 კერძო საჩივარი განხილვის ეტაპზეა.

2025 წელს გასაჩივრებულ იქნა 4 კონსოლიდირებული ტენდერი. ასევე, გასაჩივრებული იქნა 2 განკარგულება თეთრ სიაში რეგისტრაციასთან დაკავშირებით.

2025 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო წარმოადგენდა მხარეს 1 სამოქალაქო საქმეზე, რომელიც სააგენტოს შუამდგომლობის საფუძველზე, განსჯადობის დაცვით განსახილველად გადაეცა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

2025 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ წარადგინა საკასაციო საჩივარი 2 საქმეზე, რომლებიც ამჟამად განხილვის ეტაპზეა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.

2025 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტიის დაბრუნებასთან დაკავშირებით 6 საქმეზე, რომელთაგან 4 საქმის შემთხვევაში პრეტენდენტების მიერ დაბრუნებული იქნა სააგენტოს ანგარიშზე ელექტრონული გარანტიით გათვალისწინებული ფულადი თანხა, ხოლო 2 საქმის შემთხვევაში წარდგენილი იქნა სარჩელი სასამართლოში თანხის დაბრუნებაზე.

8. სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების მონიტორინგი

სააგენტო ყოველწლიურად ახორციელებს სხვადასხვა რისკ-ფაქტორებისა და კრიტერიუმების გათვალისწინებით გაფილტრული „ხელშეკრულება დადებულია", „შეწყვეტილია", „არ შედგა" და „დასრულდა უარყოფითი შედეგით" სტატუსის მქონე ელექტრონული ტენდერების მონიტორინგს. პრეტენდენტ(ებ)ის დისკვალიფიკაციის დაფიქსირებისთანავე, მოწმდება ტენდერში პრეტენდენტების დისკვალიფიკაციის შესაბამისობა, ასევე მოწმდება ტენდერების შეწყვეტის პროცესი, კერძოდ, ტენდერების შეწყვეტის ოქმებში შესაბამისი მიზეზების სიზუსტე და სისრულე.

რისკ-ფაქტორებზე დაფუძნებული მონიტორინგის სისტემა, რომელიც 2014 წლიდან ინტეგრირებულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში და რომელიც, ყოველწლიურად განიცდის ცვლილებებს (ემატება ახალი რისკფაქტორები, კორექტირდება მასში შემავალი კრიტერიუმები), მუდმივად უზრუნველყოფს შესაბამის დეპარტამენტთან ინფორმაციის მიწოდებას ავტომატური შეტყობინებების მეშვეობით, რაც საშუალებას აძლევს სააგენტოს მყისიერად გამოავლინოს შესაძლო დარღვევები და განახორციელოს დროული, სათანადო რეაგირება.

2025 წელს განხორციელდა eProcurement სისტემის CMR მოდულში ატვირთული ათასობით ხელშეკრულების, აგრეთვე გამოცხადებული კონკურსების მონიტორინგი. დეტალური მონაცემები იხილეთ N 18 ცხრილში:

ცხრილი N18: 2025 წელს სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების მონიტორინგის სტატისტიკა

N	პირობა	რაოდენობა
1	რამდენი ტენდერის მონიტორინგი მოხდა რომელთაც აქვთ სტატუსი "ხელშეკრულება დადებულია"	12,530
2	რამდენი ტენდერის დამუშავება მოხდა რომელთაც აქვთ სტატუსი "შეწყვეტილია", არ შედგა, დასრულებულია უარყოფითი შედეგით	1,599
3	რამდენი ტენდერის მონიტორინგი მოხდა სისტემაში პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენის მიზნით	7,642
4	რამდენი კონკურსის მონიტორინგი განხორციელდა	29
5	რამდენი მოხსენებითი ბარათი მომზადდა ადმინისტრაციული კუთხით	48
6	რამდენი წერილი იქნა გაგზავნილი გამოვლენილი დარღვევების შესახებ	1,670
7	რამდენი გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადებული ხელშეკრულების მონიტორინგი განხორციელდა	21,208
8	რამდენი მოხსენებითი ბარათი იქნა მომზადებული, როგორც ტენდერების სტატუსისა და ტენდერებში პრეტენდენტების დისკვალიფიკაციის ცვლილებასთან, ასევე დადებული ხელშეკრულებებისათვის (როგორც ტენდერის, ასევე გამარტივებული შესყიდვის გზით) მინიჭებული საბოლოო სტატუსების ცვლილებასთან მიმართებაში.	1,197

9. ადამიანური რესურსების განვითარება

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ტრენინგ ცენტრი მიზნად ისახავს სახელმწიფო დაწესებულებებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული პირების პროფესიული ცოდნისა და უნარების განვითარებას სახელმწიფო შესყიდვების სფეროში. ტრენინგების მონაწილეები იღებენ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას სახელმწიფო შესყიდვების საკანონმდებლო საფუძვლების, შესყიდვის ეტაპების, პროცედურებისა და ინსტრუმენტების შესახებ, ეცნობიან საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასა და თანამედროვე მიდგომებს, რაც ხელს უწყობს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელებას, სახელმწიფო ბიუჯეტის გამჭვირვალე ხარჯვასა და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას.

სასწავლო ცენტრი როგორც გასულ, ისე მიმდინარე წელს, აქტიურად თანამშრომლობდა უცხოურ და ადგილობრივ ორგანიზაციებთან. მათ, როგორც დონორებმა და პარტნიორებმა, დიდი წვლილი შეიტანეს ერთობლივი ტრენინგებისა და სემინარების ორგანიზებაში.

სახელმწიფო სექტორიდან სასწავლო ცენტრის პარტნიორები 2025 წელს იყვნენ:

- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური.

2025 წელს სააგენტოს სასწავლო ცენტრში გაიმართა ტრენინგების 15 ნაკადი თემაზე „სახელმწიფო შესყიდვების კურსი“, რომელშიც მონაწილეობდნენ მსმენელები საქართველოს ყველა რეგიონიდან. ჯგუფებში წარმოდგენილნი იყვნენ სახელმწიფო უწყებების, მუნიციპალიტეტების, თვითმმართველი ქალაქების მერიების, ასევე საკრებულოების შესყიდვების სპეციალისტები. ტრენინგებში მონაწილეობდნენ აგრეთვე საქართველოს მთავარი პროკურატურისა და ბიზნეს ორგანიზაციების წარმომადგენლები. მხოლოდ 2025 წელს გადამზადდა 341 მსმენელი, ხოლო 2014-2025 წლებში გადამზადებული მსმენელების რაოდენობამ ჯამურად 7,705 შეადგინა.

ასევე, ზემოთხსენებული საბაზისო კურსის გარდა, დამატებითი ტრენინგ კურსები ჩატარდა განსხვავებული პროგრამით:

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საჭიროებებზე მორგებული ტრენინგი;

აღსანიშნავია, რომ 2025 წელს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ინიცირებულ იქნა „ონლაინ“ სწავლების კურსი სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული სპეციალისტებისთვის. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრმა ნაყოფიერად ითანამშრომლა მთავრობის ადმინისტრაციასთან

და შექმნა ახალი „ონლაინ“ მოდული „სახელმწიფო შესყიდვების კურსი“, რომელიც ხელმისაწვდომია ელექტრონულ პლათფორმაზე: **https://elearning.hr.gov.ge/**

ტრენინგ ცენტრი კვლავ აგრძელებს ახალი პროგრამებისა და სემინარების შემუშავებას, საჯარო მოსამსახურეების პროფესიული უნარების განვითარების ხელშესაწყობად და სახელმწიფო შესყიდვების პროცესების ეფექტურობის გაზრდისათვის.

10. მომხმარებლებთან საქმიანი კომუნიკაცია

ისევე როგორც გასულ წლებში, 2025 წელსაც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აქტიურად მუშაობდა მიზნობრივი ჯგუფების ინფორმირებაზე სახელმწიფო შესყიდვების სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე. ინფორმირების პროცესი მოიცავდა როგორც საკანონმდებლო და ინსტიტუციური ასპექტების განმარტებას, ასევე სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გაცნობას.

<u>2025 წლის მონაცემებით:</u>

- სააგენტოში შემოსული და დამუშავებული წერილების რაოდენობამ შეადგინა 11,510;
- სააგენტოდან გაგზავნილი წერილების რაოდენობა იყო 3,613;
- სააგენტოს ოფიციალურ ელფოსტაზე info@procurement.gov.ge მიღებული და დამუშავებული იქნა 2,227 წერილი, ხოლო გაგზავნილი – 1,066;
- სააგენტოს „ქოლცენტრში“ მიღებულ და დამუშავებულ ზარების რაოდენობამ შეადგინა 13,811. „ცხელი ხაზის“ თანამშრომლები უმეტეს შემთხვევაში მოქალაქეებს პასუხობენ როგორც კანონმდებლობით განსაზღვრულ ნორმებთან, ასევე სხვადასხვა პრაქტიკულ საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის ელექტრონული სისტემის გამოყენების, მონიტორინგის, კონსოლიდირებული შესყიდვებისა და სხვა თემებზე. დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში N19;
- 2025 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში დადგენილ ვადაში პასუხი გაეცა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მიზნით წარმოდგენილ 18 განცხადებას.

ცხრილი N19: 2025 წელს სააგენტოს „ცხელ ხაზზე“ შემოსული ზარების სტატისტიკა

2025 წელს ცხელ ხაზზე შემოსული ზარების სტატისტიკა		
	რაოდენობა	**%**
ტექნიკური პარამეტრები/სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებული კითხვები	7,248	52.5
კანონმდებლობასთან დაკავშირებული კითხვები	3,041	22.0
კონსოლიდირებული ტენდერები	1,608	11.6
საბანკო მომსახურეობასთან დაკავშირებული საკითხები	1129	8.2
დავებთან/დავების საბჭოსთან დაკავშირებული კითხვები	594	4.3
გადაუდებელი აუცილებლობიდან გამოწვეული შესყიდვები	148	1.1
სხვა	43	0.3
სულ	**13,811**	**100**

eProcurement სისტემაში ჩაშენებული მოკლე ტექსტური (SMS) და სისტემური შეტყობინებების საშუალებით, აგრეთვე ვებპორტალის procurement.gov.ge სერვისების გამოყენებით, სახელმწიფო შესყიდვებით დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ მუდმივად მიიღონ ინფორმაცია სიახლეების, ცვლილებების, განცხადებების, რეკომენდაციების, ახალი რეგულაციების შემოღებისა და სხვა სერვისების დანერგვისა თუ განვითარების შესახებ.

სისტემის მეშვეობით მომხმარებლებს ასევე აქვთ შესაძლებლობა დროულად მიიღონ დეტალური ინფორმაცია მათთვის საინტერესო ტენდერების შესახებ. 2025 წელს გაგზავნილი სისტემური შეტყობინებების საერთო რაოდენობამ დაახლოებით 65 მილიონი შეადგინა, ხოლო მოკლე ტექსტური (SMS) შეტყობინებების რაოდენობამ 229,578.

11. საერთაშორისო ურთიერთობები

მთელი წლის განმავლობაში, მიმდინარეობდა აქტიური მოსამზადებელი საქმიანობა „საჯარო შესყიდვების შესახებ“ ახალი კანონის 2027 წლის დასაწყისიდან ამოქმედების მიზნით. პარალელურად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მოქმედი კანონის ევროდირექტივებთან დაახლოების მიზნით, განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რათა მასში მომხდარიყო ახალი კანონიდან გარკვეული მუხლების წინმსწრებით ასახვა. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები 2027 წლიდან ახალი კანონის ამოქმედებამდე უზრუნველყოფს მოქმედი კანონის ევროდირექტივებთან თანხვედრაში მოყვანას. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოს პარლამენტმა მიიღო 2025 წლის 12 ნოემბერს. შედგა შესაბამისი კომუნიკაცია სააგენტოს საერთაშორისო პარტნიორებთან.

საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების ვალდებულებების ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აგრძელებს ევროკავშირის ე.წ. „კომუნალური სექტორის დირექტივასთან“ დაახლოების პროცესს. ამ მიზნით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული, ასოცირების შეთანხმების განხორციელების მხარდამჭერი ევროპული პროექტის ფარგლებში, საერთაშორისო ექსპერტის მიერ მომზადდა კანონპროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირის ე.წ. „კომუნალური სექტორის დირექტივასთან“ სამართლებრივ დაახლოებას. ამ მიზნით გაიმართა რამდენიმე შეხვედრა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) ხელმძღვანელობასთან, რომლის მიზანი იყო ქვეყანაში მოქმედი კომუნალური სექტორის კანონმდებლობის ევროსტანდარტებთან დაახლოება.

წლის განმავლობაში გაიმართა რამდენიმე საქმიანი შეხვედრა საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოსთან. შეხვედრები შეეხებოდა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულებას, რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირის კონცესიების დირექტივასთან სამართლებრივ დაახლოებას. აღსანიშნავია, რომ ამ მიზნით საქართველოს პარლამენტმა უკვე მიიღო კანონი „საჯარო და კერძო თანამშრომლობის“ შესახებ, რომელთან დაკავშირებითაც ევროკომისიამ გამოთქვა რიგი შენიშვნები, მისი ევროდირექტივასთან სრულად შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. შეხვედრაზე მხარეები შეთანხმდნენ ევროკომისიის მიერ გამოთქმული შენიშვნების კანონში გათვალისწინების მიზნით, შემდგომ ნაბიჯებზე.

2025 წლის განმავლობაში, პერიოდულად მზადდებოდა სააგენტოს მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების კვარტალური და წლიური გეგმები და ანგარიშები, მათ შორის ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების (AA-DCFTA) და საჯარო ფინანსების მართვის (PFM) რეფორმის ფარგლებში. ასევე, მიმდინარეობდა აქტიური თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან -

GIZ, მსოფლიო ბანკის, აზიის განვითარების ბანკის და OECD/SIGMA-ს ექსპერტებთან/პროექტებთან.

შესაბამისი რეფორმების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე და სამსახურის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობდნენ მთავრობის მიერ შექმნილი სხვადასხვა საკოორდინაციო საბჭოსა თუ კომისიის მუშაობაში.

2025 წლის მარტში უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტის ფარგლებში გაიმართა საქართველო-უზბეკეთის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მე-10 სხდომა. კომისიის ფარგლებში ხელი მოეწერა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და უზბეკეთის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. აღნიშნული მემორანდუმის გაფორმება, ხელს შეუწყობს ორ უწყებას შორის პარტნიორობის გაღრმავებას, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის თაობაზე და ინსტიტუციური მოწყობის საკითხებში ინფორმაციის გაცვლას.

2025 წლის 16 მაისს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ეწვია ბელორუსის სამთავრობო დელეგაცია, ბელორუსის ჯანდაცვის სამინისტროსა და უნივერსალური სასაქონლო ბირჟის წარმომადგენლების შემადგენლობით. ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობისათვის გამოითქვა სურვილი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და ბელორუსის უნივერსალური სასაქონლო ბირჟას შორის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების თაობაზე, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას.

2025 წლის 29-30 მაისს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდა უზბეკეთის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს დელეგაცია. დელეგაციას ხელმძღვანელობდა ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის უფროსი და მინისტრის მოადგილე. აღსანიშნავია, რომ ვიზიტი განხორციელდა ორ უწყებას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში. ვიზიტის მიზანი იყო გამოცდილების გაზიარება საჯარო შესყიდვების სფეროში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოში ცენტრალიზებული საჯარო შესყიდვების პრაქტიკას, ელექტრონული სისტემის ადმინისტრირებას და იურიდიული და ინსტიტუციური მოწყობის კუთხით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მოწინავე გამოცდილების გაზიარებას.

2025 წლის ივნისში, გაიმართა მდგრადი განვითარების რეგიონალური ფორუმი, სადაც მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელმა პირებმა. ფორუმზე მოწვეული იყვნენ საერთაშორისო ექსპერტები და

დიპლომატები, რომელთაც ყურადღება გაამახვილეს ქვეყნის მდგრადი განვითარების მნიშვნელოვან საკითხებზე.

2025 წლის სექტემბერში, აშშ-ს საელჩოს ინიციატივით, გაიმართა საელჩოს ეკონომიკურ ატაშესთან საქმიანი შეხვედრა, რომლის მიზანი იყო საქართველოს სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის თაობაზე ინფორმაციის მიღება ამერიკული კომპანიებისთვის.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აგრძელებს მჭიდრო თანამშრომლობას მსოფლიო ბანკთან. გაიმართა რამდენიმე საქმიანი შეხვედრა მსოფლიო ბანკის კავკასიის რეგიონის წარმომადგენელთან. დაიგეგმა მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივები. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკი აგრძელებს სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის გამოყენებას თავიანთი შესყიდვების განხორციელებისათვის. მსოფლიო ბანკის მხრიდან გამოითქვა სურვილი ელექტრონული სისტემის მოდულის (DEP) მაგვარი ახალი პროცედურის შექმნაზე, რომელიც მორგებული იქნება დონორი ორგანიზაციების (IFIs, MDBs) შესყიდვების ახლად მიღებულ წესებზე. მსოფლიო ბანკთან მჭიდრო თანამშრომლობით, შემუშავდა და ელ. სისტემაში ჩაშენდა დონორის სახსრებით შესყიდვის ახალი პროცედურა - DFP, სადაც ე.წ. „ორი კონვერტის პრინციპით“ განხორციელდება ელექტრონული შესყიდვა. აღსანიშნავია, რომ DFP პროცედურის გამოყენება გამიზნულია მსხვილი ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესყიდვისათვის. ახალი მოდული სამუშაო რეჟიმში გაეშვება 2026 წელს.

2025 წლის 18-21 ნოემბერს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში სტუმრად იმყოფებოდა თურქეთის საჯარო შესყიდვების უწყების (KIK) მისია. სასწავლო ვიზიტის მიზანი იყო ორ უწყებას შორის საჯარო შესყიდვების სფეროში მოწინავე გამოცდილების გაზიარება. ვიზიტის განმავლობაში გაიმართა საქმიანი შეხვედრები, რომლის ფარგლებში მხარეები გაეცნენ ორი ქვეყნის საჯარო შესყიდვების ელექტრონულ სისტემას, ორი ქვეყნის მოწინავე გამოცდილებას და მიმდინარე რეფორმებს. აღსანიშნავია, რომ ვიზიტი გაიმართა თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (TIKA) მხარდაჭერით. აღნიშნული მხარდაჭერის ფარგლებში ასევე დაიგეგმა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საპასუხო ვიზიტი თურქეთის რესპუბლიკაში და ორ უწყებას შორის პარტნიორული ურთიერთობების კიდევ უფრო გამყარებისათვის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერა.

2025 წლის 26-27 ნოემბერს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელმა პირებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. სეულში (კორეის რესპუბლიკა) გამართულ საერთაშორისო სემინარში „2025 International Procurement Workshop of the Asia Pacific Public Procurement Network“. სემინარი გაიმართა აზიის განვითარების ბანკის და კორეის რესპუბლიკის საჯარო შესყიდვების უწყების ორგანიზებით. სემინარზე

მონაწილეებმა განიხილეს საჯარო შესყიდვების სფეროს განვითარების თანამედროვე მსოფლიო ტენდენციები და გამოწვევები.

2025 წლის 8-11 დეკემბერს, ბუდაპეშტის დიპლომატიური დიალოგის ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ბუდაპეშტში გამართული სემინარების მეოთხე რაუნდში. ინიციატივის მიზანს წარმოადგენდა საქართველოსა და უნგრეთს შორის პროფესიული და დიპლომატიური ურთიერთობების გაძლიერება, ასევე მონაწილეთათვის უნგრეთის საუკეთესო პრაქტიკის გაცნობა საჯარო ადმინისტრირების, ეკონომიკური განვითარების და ევროკავშირში ინტეგრაციის მიმართულებით. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლებმა, შეისწავლეს უნგრეთის ევროკავშირში გაწევრიანების გამოცდილება. სემინარების ფარგლებში განხილული იყო ევროკავშირის სტრუქტურული ფონდების მართვა, ფინანსური დახმარების მექანიზმები, საგადასახადო პოლიტიკა, თაღლითობასთან წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები, ასევე ინსტიტუციური და საბიუჯეტო ჩარჩოები.

2025 წლის 21-23 დეკემბერს, სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში გაიმართა საქართველო-სერბეთის ვაჭრობისა და ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივი კომისიის სხდომა. სხვა საკითხებთან ერთად, კომისიაზე განიხილეს თანამშრომლობა საჯარო შესყიდვების სფეროში, რის საფუძველზეც გაკეთდა შესაბამისი ჩანაწერი კომისიის სხდომის ოქმში.

12. საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა

European Commission

NATO OTAN

UNDP

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES

SIGMA

TAIEX

TWINNING

Delegation of the European Union to Georgia

International Labour Organization

UN environment

UN GLOBAL COMPACT

WORLD TRADE ORGANIZATION

UN WOMEN United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women

UNOPS

გერმანიის თანამშრომლობა DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

giz

CLDP COMMERCIAL LAW DEVELOPMENT PROGRAM

Sida

THE WORLD BANK IBRD • IDA | WORLD BANK GROUP

UKaid from the British people

cim Centre for International Migration and Development a joint operation of GIZ and the German Federal Employment Agency

ADB Asian Development Bank FIGHTING POVERTY IN ASIA AND THE PACIFIC

DFID Department for International Development

European Investment Bank

European Bank for Reconstruction and Development